№ 65
კვირა, 24 მარტი 1902 წ.

ბაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1902

ივერია

№ 65
კვირა, 24 მარტი 1902 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხე ხეზედ—5 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესასწაულისა გამო შემდეგი № „ივერიისა" გამოვა ოთხშაბათს, 27 მარტს.

სამშაბათს, 26 მარტს, დილის 10½ საათზედ,

კონსტანტინე იაკობის ძის ზუბალაშვილის

გარდაცვალების წლის თავზედ, გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი კათოლიკეთა ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიაში მიცვალებულის სულის მოსახსენებლად. (1—318—1)

დღეს, 24 მარტს, სამების ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი ტფილისის ყოფილის ნოტარიუსის ივანე იგნატის-ძის პოლტორაცკის მეუღლის

ნადეჟდა ზაქარიას ასულის პოლტარაცკისა.

წირვა დაიწყება დილის ათს საათზედ, პანაშვიდი—თორმეტზედ. (1—1)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

წარმომადგენელი აცხადებს ამხანაგობის წევრთა საყურადღებოდ, რომ ტფილისში კვირას, 31 მარტს, 1902 წ. დილის 10 საათზე, სამეურნეო ბანკის სადგომში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლში) დანიშნულია წევრთა

საზოგადო წლიური კრება.

ვინიცობაა დანიშნულ დღეს წევრთა კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა და კრება არ შესდგა, იგი გადიდება შემდეგის კვირის, 7 აპრილისათვის, და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველი შემდეგი საგნებია:

1) განხილვა და დამტკიცება ამხანაგობას 1-ლ წლის მოქმედების ანგარიშისა.
2) განხილვა და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1902 წლისთვის.
3) ამხანაგობის წესდების გადასინჯვა-შეცვლა და დამატება ზოგიერთ პარაგრაფისა.
4) ამხანაგობის ძირის თანხის გაძლიერება და საზოგადოდ მოსაზრებანი საქმის უკეთესად წარმოებისათვის.
5) მოსაზრება იმაზე, თუ რამდენად მოსახერხებელი იქნება ამხანაგობის სააქციონერო საზოგადოებად გადაკეთება.
6) არჩევანი გამგეობის ორის წევრისა და მათის კანდიდატებისა, საბჭოს ხუთის წევრისა და მათის კანდიდატებისა. (3—6.—1)

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი"

სურათებიანი დამატებით

1-ლ აპრილიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქ გარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს 5 მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ-Пурцели" (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова). (2—2)

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

უველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.** (13—287—6)

ა ვ ა დ მ ყ ო ფ ი ს

მომვლელი ქალი

ეძებს ადგილს. აქვს ექიმების მოწმობანი. იცის აგრეთვე მზარეულობა. ადრესი: „ვერსალის" სასტუმრო, სიკვოვისა. (2—317—1)

ყვირილის თეატრის ამხანაგობა

ამით აცხადებს, რომ წევრთა პირველი მორიგი კრება დანიშნულია 28 მარტს, საღ. 5 საათზე, ყვირილის ნორმალურ სასწავლებლის დარბაზში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) გამგეობის მოხსენება ამხანაგობის მდგომარეობის შესახებ.
2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა. კრებაზე არა წევრთაც შეუძლიანთ დასწრება.

ამხანაგობის თავმჯდომარე კნ. **ვ. ს. წერეთლისა.** (2—უ.—1)

სამეურნეო ბანკის

წლიური **საზოგადო კრება** დანიშნულია კვირას, 24 მარტს, დილის თერთმეტ სათზედ, ბანკისავე დარბაზში. (2—ნ.—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 ს., გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

ე. ვ. ფედოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

ვ. ვ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა, 5—6 საათ. მიკრო-ქიმიური და საბაქტეროლოგო გამოკვლევანი.

გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

ვ. ვ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე ს-ა ექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (წ.)

ე ქ ი მ ი

ვახტანგ ლამბაშიძე

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. ტელეფონი № 642. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

კ. ი. ბძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, თვალისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ნ. შააკოვსკი. 6 7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасаріанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

გორის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო კირიონის რუსეთში გადაყვანა.

—

ჩვენის გაზეთის გუშინდელს ნომერში დაბეჭდილმა დეპეშამ მკითხველებს აუწყა სამწუხარო ამბავი გორის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო კირიონის რუსეთში გადაყვანის შესახებ. ყოვლად-სამღვდელოს გადაყვანა რუსეთში მოჰხდა მათის მეუფებისავე თხოვნის თანახმად... ჩვენმოვალენი ვართ გამოვსთქვათ ის გრძნობა მწუხარებისა, რომელიც ქართველ საზოგადოების უფროს ერთის გულში გამოიწვია ამ გარემოებამ...

საქართველოს ეკკლესიისათვის ყოვლად-სამღვდელო კირიონის რუსეთში გადაყვანა დიდ დასაკლისად მიგვაჩნია... მართალია, ყოვლად-სამღვდელო კირიონი, ადაც უნდა იმყოფებოდეს, სულით და გულით მოყვარული იქნება თვისის მშობლის და აღმზრდელის ეკკლესიისა, მაგრამ მათის მეუფების სამშობლო ცის ქვეშ ყოფნა, მის სიწმიდეთა შორის მიმოქცევა დიდს სულიერს ნუგეშს ჰფენდა ყოველს ქართველს, ვისაც-კი გული შესტკივა საქართველოს სასულიერო განათლებისათვის...

ყოვლად-სამღვდელო კირიონი თავისს ძალღონეს, თვისს ნიჭს, ქონებას უანგაროდ სწირავდა თვისის მშობლის ქვეყნის სასულიერო განათლების საქმესა... მან დაბეჭდა რუსულსა და ქართულს ენაზედ მრავალი წერილი და წიგნი საქართველოს ისტორიის შესახებ,—რომლის საშუალებით რუსულის ენის მცოდნეთ გაიცნეს დაახლოვებით საქართველოს ისტორია... იმისი ნაწერები ღირსეულად დაფასებულ იქმნა შემდეგს რუსთა ჟურნალ-გაზეთებში: „Церковныя Вѣдомости", „Историческій Вѣстникъ", „Странникъ", „Кавказскій Вѣстникъ" და სხვ...

სალიტერატურო შრომა ყოვლად-სამღვდელოს ძლიერ უყვარს,—მთელს თვისს თავისუფალს დროს ამ შრომას ანდომებს... ამ შრომაში ხელს უწყობს საკუთარი მდიდარი წიგნთ-საცავი, რომელშიაც მოიპოვება თითქმის ყოველივე ნაწერი საქართველოს ისტორიის შესახებ. ბევრი ქართველი თვისის საისტორიო-კვლევა-ძიების დროს სარგებლობდა ყოვლად-სამღვდელოს წიგნთ-საცავიდგან წამოღებულ წიგნებით...

სალიტერატურო შრომასთან მტკიცედ შეკავშირებულია მათის მეუფების შრომა გასამდიდრებლად ქართლ-კახეთის სამღვდელოების სიძველეთ-საცავისა, რომელშიაც მათის მეუფების დაუღალავ მეცადინეობის წყალობით დღეს ათას ორასამდის ძველი შესანიშნავი ქართული ხელთ-ნაწერია და რომელთ განხილვა და დაფასება დიდს სამსახურს გაუწევს არა თუ მარტო საქართველოს, არამედ მთელის ქვეყნის ისტორიის შესწავლასაც. ყოვლად-სამღვდელომ უკვე ხელი მიჰყო ბეჭდვას მთელ ხელთ-ნაწერებისას, სიძველეთ-საცავის სამეცნიერო აღწერისას, რომელიც ბ-ნმა თ. ჟორდანიამ შეადგინა მათის მეუფების მინდობილობით, მოიპოვა ადგილი სიძველეთ-საცავის ახალის შენობისათვის შეადგინა ახალი წესდება სიძველეთ-საცავის მართვა-გამგეობისა, შესძინა მრავალი წევრი ქართველთაგან და მოუპოვა თანაგრძნობა მთელის განათლებულის კაცობრიობის იმ ნაწილისა, რომელიც საისტორიო კვლევა-ძიების სარბიელზედ მოღვაწეობს...

მცხეთის დიდებულის ტაძრის განახლების მოთავედაც ბრძანდებოდა მათი მეუფება და ყოველივე დამზადდა მისის განახლებისათვის. დიდი ამაგი დასდო მან შუამთის, ქვაბთახევის და ალავერდის და თეთრი გიორგის მონასტრებსა, რომელთა წინამძღვრადაც მსახურებდა.

მათი მეუფება უმაღლესს სასწავლებლებში რამდენსამე ქართველს ზრდის თავისის საფასით, კერძო ქველ-მოქმედებას მათის მეუფებისას საზღვარი არა აქვს.

იგი გულ-წრფელად თანაუგრძნობდა ყოველსავე კეთილს საქმეს, რომელიც-კი საქართველოს სასულიერო განათლებას შეეხება... დღე და ღამ ყოველს ჟამს და ყოველს წუთს მათი მეუფება საზოგადო საქმეთათვის ჰფიქრობდა და ზრუნავდა... ქართველი ერიც ისე შესცქეროდა, როგორც თვისს მოძღვარს და მისგან ბევრს რასმე მოელოდა...

ქართველს საზოგადოებას დღესაც არ სჯერა, თუ მას განშორდება თვისი საყვარელი მწყემსთ-მთავარი ყოვლად-სამღვდელო კირიონი, არ სჯერა და არც სურს დაიჯეროს, რომ იგი აპირებს შორს წასვლას იმ მიწაწყალის წიაღიდგან, რომელსაც თავს დასტრიალებს საქართველოს ეკკლესიის საღმრთო მადლი.

ი...ა—რ...ძე.

ტფილისის სამეურნეო ბანკი.

(წარსულის წლის ანგარიშის გამო).

—

ტფილისის საურთიერთო-სასოფლო-სამეურნეო ბანკი არსებობს აგერ მეშვიდე წელიწადია და დღეს უკვე მექვსე ანგარიშია მისის მოქმედებისა. პირველმა ოთხმა წელიწადმა მშვიდობიანად განვლო და ბანკი ნელ-ნელა წინ მიდიოდა, მის მოქმედებას გაფართოება ეტყობოდა. ხოლო უკანასკნელს ორს წელიწადს თითქოს შესდგა წარმატება ბანკისა. ეს ორი წელიწადია ისეთის ნაბიჯით წინსვლა აღარ ეტყობა ამ ბანკს, თითქოს თავისს კალაპოტში ჩადგა და ეგ არის მეტად გაფართოება აღარ უწერიაო. მართალია, შარშანდელის ანგარიშით ერთი მანეთი მეტი სარგებელი მოსდის ას მანეთს თანხას, მაგრამ ეს სათქმელი არ არის.

გავარჩიოთ ანგარიში სამის წლისა. საწევრო ანგარიშით

1899 წ. მოემატება 93 წევრი და თანხა 8248 მ.
1900 წ. „ 36 „ 3915 „
1901 წ. „ 7 „ 2851 „

როგორც ჰხედავთ, წევრთა რიცხვის და საწევრო ფულის თანხის მომატება, სამწუხაროდ, ძალიან მცირდება თან-და-თან.

მიმდინარე ანგარიშს ეტყობა შარშან შევსება შარშანდელის დანაკლისისა და მომატებაც, რაიცა ფრიად სასიამოვნოა, თუმცა-კი ანგარიშიდგან არა სჩანს, წევრთა გარდა, არა-წევრთაგან რამდენი შემოსულა ამ ანგარიშით, რაიცა მეტად საინტერესოა ვიცოდეთ, რადგანაც დიდი ხანი არ არის, რაც მიეცა ნებართვა ბანკს არა-წევრთაგანაც მიიღოს ხოლმე ფული შესანახად მიმდინარე ანგარიშზედ და სხ.

ვადით შემოტანილ ფულის ანგარიშით 1899 წ. შემოსულა 177392 მან. დარჩენილა 157192 მან., % მიცემულა 6760 მან., 1900 წ. 157225 მან., დარჩენილა 137675 მან. % მიცემულა 7154 მ.
1901 წ. 160079 „ 135549, „ 7121 „

როგორც ჰხედავთ, სამწუხაროდ, ამ ანგარიშით მეტად მცირდება შემოსავალი. ამას-კი დიდი მნიშვნელობა აქვს და ვადით შემოტანილი ფული დიდს სარგებლობასაც აძლევს ბანკს. თუმცა შემოსავალი ეტყობა შარშან მეტი ეოფილა შარშან-წინდელზედ, მაგრამ ჯამი დარჩენილისა და მიცემულის სარგებლის ჰხსნის, რომ რაღაც შეცდომა უნდა იყოს ბანკის ანგარიშში.

დახურდავებულ თამასუქების ანგარიშებით:

1899 წ. დახურ. 467005 მ. მიღ. % 22240 მ.
1900 წ. „ 533970 „ 25503 „
1901 წ. „ 565780 „ 27218 „

როგორც ჰხედავთ, ერთად-ერთ დიდ საღსარს ბანკის შემოსავლისას დაჰკლებია შარშან და საგრძნობლადაც დაჰკლებია. 1899 წ. უმატნია 3217 მანეთით, 1900 წ. 3263 მანეთით და 1901 წ. 1715 მანეთით. თითქმის განახევრებულა წინა წლის შედარებით, და ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან წევრებსაც ძალიან მცირედი მომატება ეტყობა.

დახურდავებულა ვადიანი სარგებლიანი ქაღალდები შარშან 5042 მანეთით ნაკლები.

მიცემულა სესხი სარგებლიან ქაღალდებზედ ნაკლები 4423 მანეთით.

მიცემულა სესხი საქონელზედ მეტი 30753 მანეთით. ეს გარემოება-კი, რასაკვირველია, სასიამოვნოა.

მიცემულა სესხი სოფლად სოფლის მოსავალზედ 831 მანეთით ნაკლებ, რაიცა მეტად სამწუხაროა, მით უმეტეს, რომ საქონელზედ გაცემულის მომატების შედარებით, ეტყობა, თითქოს სოფლისათვის თავი მიუნებებიათ და ქალაქში მოუსურვებიათ თვისის მოქმედების გაფართოვება.

საკითხავია, მაშ, რა მიზეზია, რომ აღარ ეტყობა ისეთი გაფართოება ბანკის მოქმედებას ამ ბოლო წელს?

ჩემის აზრით, მიზეზი ის არის, რომ ქალაქში დიდი სამოქმედო ასპარეზი არა აქვს ჩვენს ბანკს: რაც გაკეთდა, იმაზედ მეტი ვეღარა გაკეთდებარა, ხოლო თუ გაკეთდება, ძალიან მცირე რამ გაკეთდება.

ასეც უნდა იყოს, რადგან ძნელია ტფილისში მეტად ფრთების გაშლა, როდესაც უფრო იაფად შეიძლება მოპოვება სესხისა სხვა ბანკებში იმათთვის, რომელნიც სანდონი არიან, ხოლო ვინც სანდონი არ არიან, ისინი არც ჩვენის ბანკისათვის არიან საჭირონი.

ცხადია, მაშ, რომ უმთავრესი თვისი მოქმედება ჩვენმა ბანკმა სოფლად უნდა გადიტანოს, პროვინციაში უნდა იღვაწოს, თუ უნდა რომ ფართოდ გაშალოს ფრთები და წარმატებით იაროს წინ. ეს არის მისი უმთავრესი დანიშნულებაც.

ვერ ვიტყვი, რომ სოფელში გაცემული არა ჰქონდეს ფული თამასუქებით ჩვენს ბანკს, მაგრამ ეს გაცემა არა კმარა. ბანკი ამ შემთხვევაში ტფილისიდგან მეტს ვერას გააწყობს. საჭიროა დაუახლოვდეს სოფელს, იქ, პროვინციაში, გაიჩინოს და დააარსოს საგენტოები.

თუმცა თელავში ჰყავდა ჩვენს ბანკს აგენტი, მაგრამ იმ აგენტს არავითარი უფლება არა ჰქონდა თითქმის. ამიტომ ვერც არას გააკეთებდა, გარდა იმისა, რომ შეეძლო მიეღო ფული თამასუქში, გამოეგზავნა და გარდაწყვეტილ თამასუქით აქედგან გაგზავნილი ფული გარდაეცა მსურველისათვის; ეს-კი არა ნაკლებ ჯდებოდა, ვიდრე თვით იმის ჩამოსვლა ტფილისში, ვისაც ფულის აღება უნდოდა თამასუქით აგენტისაგან.

დიაღ, დროა და დიდად საჭიროც, დაარსდეს თუ რამდენიმე არა, ორი ან ერთი საგენტო მაინც

თელავში ანუ სიღნაღში ცხინვალშიაც და სხ.

უნდა მიენდოს აგენტს: მიღება ყოველ ანგარიშზედ ფულისა, ე. ი. მიმდინარე ანგარიშზედ, ვადით და უვადოთ შემოტანილ ანგარიშზედ, გარდასაცემ ანგარიშზედ და სხვ. და გაცემა ფულისა გამგეობის ნებართვით. გარდა ამისა, უნდა იყვნენ ამორჩეულნი კაცები მისის თვალყურის სადევნებლად. ამათვე უნდა ადევნონ თვალყური სოფლებში იმათ, ვინც ისურვებს ფულის გატანას ბანკის აგენტის შემწეობით. ამავე კაცებმა უნდა იზრუნონ, გაავრცელონ ოპერაციები ბანკისა სოფლად, ესე იგი გაცემა ფულისა და მიღება შესანახად, თუნდა სულ მცირედის რაოდენობის ფულისა და დასაზოგად.

ყოველი ვაჭარი, დიდი თუ პატარა, და აგრეთვე მხვნელ-მთესველი მაზრებსა და სოფლებში, რომელთაც-კი წვრილ-წვრილი შემოსავალი აქვთ, ან შინ ინახავს ფულს, ან არა-და, საცა არის, სახელმწიფო შესანახ კასაში შეაქვს შესანახად იმ დრომდე, ვიდრე დაისაჭიროებს და დანიშნულებისამებრ მოიხმარებს. აი, ამისთანები სიამოვნებით შეიტანენ შესანახად ფულს იმ აგენტთან, რომელიც ჩვენის ბანკის წარმომადგენლად იქნება დანიშნული შორეულს პროვინციაში. ამ სახით, მცირე ფული არ იტრიალებს აგენტებთან და ეს ფული, გაჭირვებულ სოფლელზედ გაცემული დროზედ, მცირე სარგებლობას არ მოუტანს ხალხს და თვით ბანკს.

მხოლოდ მაშინ შეასრულებს სამეურნეო ბანკი თავის პირდაპირს დანიშნულებას, როდესაც ადგილობრივ მაზრებში და სოფლად აღმოუჩენს შემწეობას, როგორც იჯარურ ვაჭრებს, ისე მეურნესა და სოფლის მრეწველს, როგორც ფულის მისესხებით, ისე მათის წვრილის ფულის შენახვით. საურთიერთო ნდობის საზოგადოების მოვალეობაც ის არის, გაავრცელოს ფულის მოგროვება, დაზოგვა და დაცვა ხალხში და აღმოუჩინოს შემწეობა მაშინ, როცა დანა ყელზეა მიმდგარი.

იმედია, დღევანდელ კრებაზედ წევრნი და გამგებელნი ბანკისა იქონიებენ მხედველობაში ჩემს მცირე აზრს, მით უმეტეს, რომ სოფელს დიდად ეჭირვება იაფი და მცირე კრედიტი.

ს. გლახაშვილი.

სოფელი და სოფლელნი

წერილი მეხუთე *)

უერთგვაროა ჩვენი სოფლის მიდამო; გადახლართ-გადმოხლართულია სოფლელთა ინტერესი, ყოფა-ცხოვრება; არევ-დარეულია აზრები; მითქმა-მოთქმას, შურს, მტრობას, ქიშპობას ბოლო არ ელება; ნამდვილი ყურთა-გლეჯა და ბაბილონელთა გოდოლის შენებაა!

თვით სოფლელნი კარგადა ჰგრძნობენ, რომ მათი ყოფა-ცხოვრება ძალიან უნუგეშოა და არასფერს საიმედოს არ მოასწავებს; ბევრი სასოწარკვეთილებასაც-კი ეძლევა; ნათლად არავის არა აქვს შეგნებული და გარკვეული ის მოვლენა, რომელმაც შექმნა ასეთი სავალალო ვითარება სოფლისა. ამ საგანზედ ძალიან ხშირად ისმის ლაპარაკი და ყველა, ცოტათი მაინც განვითარებული, ასაბუთებს თავისს მოსაზრებას ვითომ-და უტყუარის ფაქტებით.

მოსაუბრე თუ თავადიშვილია, ასეთის უნუგეშო ცხოვრების მიზეზად მიაჩნია გლეხ-კაცობის, სამღვდელოების და ხშირად აზნაურთა ქცევა და მისწრაფება; მღვდელი, აზნაური, სოფლის „ინტელიგენტი“ ბრალსა სდებს თავადიშვილთ, რომელთაც უზომო ხარჯით, არა მამულის-შვილურის მიმართულებით ზურგი შეუბრუნებიათ სამშობლოსათვის, ერისათვის და რომელნიც მხოლოდ თავიანთ თავისათვის ზრუნავენ; გლეხ-კაცობა გაბეჩავებული, განათლებას მოკლებული, მიზეზად სთვლის ყველას: თავისს ბედს, თავადს, მღვდელს, აზნაურს, მედუქნეს, ერთი სიტყვით, ყველას, ვისთანაც-კი საქმე რამ აქვს და ვისთანაც მეზობლად სცხოვრობს.

ყველა სასტიკი „პროკურორია“ სხვისა და თავის ცხოვრებისა და მისწრაფებისა-კი გულმხურვალე „ადვოკატი!“ ყველას თავისი თავი უდანაშაულო ჰგონია და სხვის თვალში-კი დამნაშავეა!..

როდესაც კაცი ამ გვარ საუბარს ყურს მოჰკრავს, ალტაცებაში მოვა, გაიოცებს, რა განვითარებული ხალხია, მჭევრმეტყველი, მიხვედრილი, რა მამულის-შვილურის მისწრაფებებით არის გამსჭვალულიო! ხოლო ამასთანავე ვერ გაურკვევია,—რა მიზეზია და რის შედეგია, რომ ყველას კარგადა აქვს შეგნებული და დაფასებული სხვისი საქმე და თითონ-კი, გონიერი და გულმტკივნეული მჭევრმეტყველი, საკუთარ საქმეში გულუბრყვილო ბავშვია და ქცევით სულით-ავადმყოფს მიაგავს?

რა მიზეზია მართლა, რომ ჩვენში „სხვა სხვის ომში ბრძენია“ და თავის საქმეში-კი რეგვენი?

ჩვენდა საუბედუროდ, ასეთი აზრთა აბდაუბდაობა და სხვის თვალში ბეწვის ძებნა და თავისაში დვირეს მიჩქმალვა ჩვენ განათლებულ საზოგადოებას, პუბლიცისტებს და ბევრს სხვასაც გადაედო, მთელს ქვეყანას მოედო, როგორც მოსახდელი რამ სენი; ხალხისა არ იყოს, ყველას „ბატონები“ უსხედან...

ხალხის უნუგეშო ცხოვრება ბევრს რასმე გვასწავლის, ბევრს საგულისხმო და სახელმძღვანელო მაგალითს გვიჩვენებს. უადგილოდ არ მიმაჩნია განვუზიარო მკითხველს ის საყურადღებო ლაპარაკი, რომელსაც არა ერთხელ შევსწრებივარ სოფლებში:

— კაცო, რამ გაალარიბა ესა და ეს ოჯახიშვილნი?

— გაიყარნენ, შენი ჭირიმე, იმიტომ დაიწიეს.

— მერე, რად გაიყარნენ, განა არ იცოდნენ, რომ ეს დღე დაადგებოდათ?

— აირია ოჯახი და ერთად აღარ ედგომებოდათ, ბატონო.

— მერე, რა იყო ამის მიზეზი?

— სამი წელიწადი ღმერთმა მოსავალი აღარ მოგვცა, ძალიან შევწუხდით, მერე სეტყვამ აგვიკლო და გაგვანადგურა; იმათ ოჯახში ერთს უბედურობას მეორე თან მოჰყვა; ორი სული დამარხეს და, აბა, ხო მოგეხსენებათ, დიდი ხარჯი მოუვიდოდათ,—ოჯახი-შვილები გახლდნენ; ვალი აიღეს მედუქნისაგან; მერე იმან რაღაც ყალბი ქაღალდით დიდი „შტრაფი“ დაადო; „ლისტით“ საქონელი და ავეჯი გაუყიდა; გაახრა სახლი. ძმებმა და ბიძაშვილებმა ერთმანეთს დაუწყეს ბრალდება: შენი ბრალიაო, არა შენიო; რძლებიც დაერივნენ ერთმანეთს; უფროს-უმცროსობა აღარ იყო; ბოლოს გაიყარნენ. დაიღუპა ოჯახი.

დიაღ, არა ერთი ოჯახი დაღუპულა ამ რიგად და, თუ ჩვენი წოდებანი, საზოგადოება და ყველა მოძმენი ხელს არ ავიღებთ ერთმანეთის ბრალდებასა და მისისინებაზედ, ჩვენი დიადი ოჯახიც სწორედ ამ რიგად დაიღუპება!..

ჭირში გატეხა არ ვარგა,
თუ კაცი გონიერია:
წავა და ქველგან დარჩება,
სოფელი ღონიერია.

გვიანდერძა ჩვენმა მამა-პაპამ და ამ დიდებულ ანდერძს არ უნდა ვუღალატოთ: ჩვენი სოფელი ჯერ კიდევ ღონიერია, თუ კარგად მოვაწყეთ, ბევრის რჩენა შეუძლიან.

მე წინა წერილში ავწერე ის უთავ-ბოლო და არევ-დარეული ყოფა-ცხოვრება, რომელსაც შევხვედრივარ ბევრ სოფელში. არის, რასაკვირველია, ისეთი სოფლებიც, სადაც წესიერება უფრო დაცულია და ყოფა-ცხოვრებაც არც ისეა გამწვავებული, როგორც ზემოდ აღვნიშნე.

ჩვენი ხალხი ბუნებით ბოროტი არ არის, მეტის-მეტად ჩჩვილი გულის პატრონია, და ამიტომ ყოველს სიავ-კაცეს უთავბოლოო ქცევას რაღაც გულ-უბრყვილო, ბავშური ხასიათი აქვს ჩვენში. ბევრი მაგალითი ვიცი, რომ სიავ-კაცე, თითქმის ავაზაკობაც, მოუქმედნია შემთხვევით პატიოსან გლეხ-კაცს; უცნაურის სიცელქის ჟინი მოჰვლია, დაუწყვია მასხარაობით და სიცილით ჭიდაობა, წართმევა რისამე გზად მიმავალის და ეს ჭიდაობა და მასხარაობა გათავებულა იმისთანა სიავ-კაცით, რომელსაც კანონი სასტიკად სჯის.

ჩემის აზრით, ასეთი უთავ-ბოლო და უროგო ქცევა ხალხისა, გარდა სხვა მიზეზთა, იმის შედეგია, რომ არავითარს სულიერს საზრდოს არსაიდან არ აწვდიან; ხალხის მოთავე აღარავინ არის: ძველი პატრიარქალური ანუ მამა-პაპური წეს-წყობილება გადავარდა, სანუგეშო, ახალი ჯერ არა დამყარდა-რა, უფროს-უმცროსობა აღარა სჩანს; სარწმუნოება შეირყა, ეკკლესიები ცარიელია, სამღვდელოებას, ჩვენდა საუბედუროდ, აღარავითარი გავლენა არა აქვს; თავად-აზნაურობამაც დაჰკარგა ხალხში პატივი; განათლებული საზოგადოება, პრესა, ლიტერატურა ჯერ ვერ დაახლოვებია ხალხს და, აბა, ვინ უნდა გაამტყუნოს გაუნათლებელნი სოფლელნი, რომ არ იცოდნენ, როგორ მოიქცნენ და როგორ მოაწყონ თვისი ცხოვრება.

მე აქ, რასაკვირველია, ვგულისხმობ სამღვდელოებისა, თავად-აზნაურობისა და განათლებულთა უმრავლესობას, და სულაც არ ვეხები იმ მცირე რიცხვს, რომელიც იღვწის, სოფელში პატიოსანის ცხოვრებით ცნობილია და სოფლელთა ზნე-ხასიათზე კეთილი გავლენა აქვს; ეს მცირე რიცხვი დიდად შეწუხებულია ჩვენის ხალხის უნუგეშო ვითარებით, მაგრამ, საუბედუროდ, ამისთანათა რიცხვი თან და თან უფრო მცირდება, რადგან სოფლის სავალალო ცხოვრებას ვერ უძლებს და სცდილობს როგორმე სოფელს თავი დააღწიოს.

ეს მოვლენა ფრიად სამწუხაროა: თუ ჩვენ მხნედ მოვიქეცით, სოფლელთა პატიოსან მოღვაწეთ მხარი მივეცით და ხალხს სულიერი საზრდო რამ აღმოვუჩინეთ, მათი კეთილდღეობა ისე ძნელი აღსადგენი არ არის, როგორც ჰგონია იმას, ვინც ჩვენის ხალხის უნუგეშო ცხოვრებას მარტო კერძო მნიშვნელობის ფაქტებზე აფუძნებს.

ჩემის აზრით, სოფლისა და სოფლელთა ეკონომიური და სულიერი ვითარება და აგრეთვე სოფლელთა ურთიერთი დამოკიდებულება დამყარებულია ბევრს ფაქტორზედ, რომელთა შორისაც დიდის მნიშვნელობისაა:

1) თავად-აზნაურთა ვითარება და გავლენა;
2) სოფლელთა მცირე სიყვარული სამშობლოსი და ამასთანავე უზომო სიყვარული იმ ადგილისა, საცა დაბადებულა;
3) სოფლელთა განათლება;
4) მამულების გამიჯვნის, ანუ „მეჟევანიის“ ვითარება;
5) სახელმწიფო ანუ სახაზინო მამულების გამგებლობა;
7) სოფლის სათემო მიწების მფლობელობა სახაზინო გლეხთა შორის და ამავე მიწების მფლობელობა რამდენისამე სოფლისაგან საერთოდ, საზიაროდ;
8) მებატონეთა, მემამულეთა, დროებით-ვალდებულ გლეხ-კაცთა და ხიზანთა შორის ურთიერთი დამოკიდებულება;
9) უწეს-რიგოდ ხმარება ტყეებისა, საძოვრებისა და საწისქვილე და სარწყავ წყალისა;
10) მემამულეთა მიწების სხვა-და-სხვა ალაგას და სხვა-და-სხვა სოფელში მდებარეობა;
11) სამღვდელოების და მისის ჩამომავლობის ეკონომიური მდგომარეობა;
12) ალაგ-ალაგ სოფლელთა (თავად-აზნაურთა და გლეხ-კაცთა) მიწის სიმცირე და უქონლობა;
13) გზები;
14) ბაზრის ვითარება;
15) სასოფლო ბანკები და კრედიტი;
16) მედუქნეთა და სხვა ვაჭარ-ჩარჩების მნიშვნელობა;
17) მეურნეობის ვითარება;
18) მცოდნე ზედამხედველ მეურნეთა (сельско-хозяйственныхъ инспекторовъ) და მაჩვენებელ და სამაგალითო მამულების მნიშვნელობა;
19) სახელოსნოების (სადურგლო, სამჭედლო და სხვა-და-სხვა) ვითარება;
20) სოფლის ჰიგიენა და სანიტარული მდგომარეობა (ქსენონები, ექიმები, ბებიები, მკითხავები და სხვა);
21) ხალხის ზნე-ხასიათი ოჯახში, მუშაობაში;
22) დედაკაცის მდგომარეობა;
23) ხალხის ჩვეულების (ხუცობა, სამღვთო, ქორწილი, ქელეხი და სხვა) ეკონომიური მნიშვნელობა;
24) სამართლის ვითარება;
25) სოფლის მოხელეების (მამასახლისი, ,,სუდია'', ,,სბორჩიკი'', გზირი და სხვა);
26) სოფლელთა სხვა-და-სხვა გადასახადი, ბეგარა, ხარჯი.

ყოველივე ესე და წინა წერილებში აღნიშნული საგნები, გამოკვლეული და განმარტებული უნდა გვქონდეს, თუ რომ სოფლისა და სოფლელთა ვითარების შეგნება გვსურს.

შეძლებისამებრ ამ საგანს შევეხები შემდეგს წერილებში და იმედი მაქვს, რომ ჩვენის საზოგადოების განათლებულნი წარმომადგენელნი, თავისს მხრივ ხმას ამოიღებენ და საერთო შრომით გამოვარკვევთ იმ რთულ მოვლენათ, რომლითაც გარემოცულია სოფლელთა ყოფა-ცხოვრება.

მ. ტფილისელი.

---

*) „ივერია“ №№ 26, 27, 37, 51, 52, 60.

ახალი ამბავი

◆ დღეს დანიშნულია კრება ,,ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობის'' წევრთა. კრება განიხილავს: წარსულს წელში გამგეობის მოქმედების ანგარიშს, მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას და გამგეობის მოხსენებას ამხანაგობისათვის საჭირო კრედიტის მოპოვებაზე. ამავე კრებაზე უნდა ამოირჩიონ გამგეობის წევრნი. დიდი ხანი არ არის, რაც ეს ამხანაგობა დაარსდა და, თუმცა ჩვენებურ ფულიან კაცებმა ჯეროვანი თანაგრძნობა არ აღმოუჩინეს, მაგრამ წლიური წარმატება მისი 60,000 მან. მაინც ავიდა. წევრთა რიცხვი 200-დეა.

◆ ხვალ, ორშაბათს, ,,ტფილისის სობრანიის'' დარბაზში იქნება საქველმოქმედო ბაზარი, რომელსაც ჰმართავს მასწავლებელ ქალთა საზოგადოება თავისს უძლურ და სნეულ

ფელეტონი

გრაფი ტოტლებენი
და
მისი ადვოკატი ბ-ნი ლინდა *)

მოკლედ გიამბობთ მის ბიოგრაფიას და თქვენ თვითონ დაინახავთ—რა შვილიცა ბძანებულა ტოტლებენი, ვიდრე საქართველოს გაამედნიერებდა თვისის მობძანებით.

ტოტლებენი დაიბადა 1715 წ. განათლება მიიღო ქ. იენში. მამის სიკვდილს შემდეგ (დედ-მამა განქორწილებულან) დედამ პაჟად გაამწესა საქსონიის კურფიურსტის კარის წინაშე. გონება-მახვილი და ლამაზი ტოტლებენი სეფე ქალების სათაყვანებელი გახდა. კურფიურსტმა ტოტლებენს ჯვარი გადასწერა ერთ მდიდარ გრაფინიაზე და გრაფობაც უწყალობა ცოლთან ხარისხით გასათანასწორებლად. ამას გარდა სასამართლოს წევრობაც ებოძა. ტოტლებენმა მალე იმოდენა ვალები წამოიდო, ცოლს ისე ცუდად ეპყრობოდა, რომ ცოლი იძულებული შეიქმნა განქორწინება ეთხოვა. სასამართლომ ცოლ-ქმარი გაჰყარა, მაგრამ ეს არ აკმარა ტოტლებენსა. დააბრალეს მოქრთამეობა და სხვა ათასი ბოროტ-მოქმედების ჩადენა, რის გამოც დაინიშნა გამოძიება. ტოტლებენმა გამოძიების დასრულებას არ მოუცადა და დრეზდენიდგან ჰოლანდიაში გაიქცა. აქაც რაღაც უკანონობა მოიქმედა და რამდენისამე დღით ციხეში უკრეს თავი. ჰოლანდიიდგან გაიტაცა თოთხმეტის წლის მდიდარი ობოლი ქალი, რომლის მზრუნველობა ეშოვნა რაღაც მანქანებით. მდევარი გამოუყენეს, ქ. ვეიმარში ტოტლებენი გაბაწრეს ღ ხელმეორედ სატუსაღოში ამოაყოფინეს თავი, მაგრამ დარაჯებს გაუსხლტა ხელიდან და პრუსიაში ამოჰყო თავი მოტაცებულის ქალით. პრუსიის კაროლ ფრიდრიხ დიდმა წყალობის თვალით შეხედა ტოტლებენს და ჯვარი გადასწერა ობოლ მოტაცებულ ქალზე. (ეს მეფე ქვეყნის ავანტიურისტებს უყრიდა თავსა და ჯარის-კაცად ჰნიშნავდა) ცოლის მზითვით დიდი მამულები იყიდა პრუსიაში და დაბინავდა ბერლინს; სამსახურში შესვლა მაინც ვერ მოახერხა. ქონებას დაუწყო ფლანგვა და ცოლსაც ცუდად ეპყრობოდა. ამის გამო ცოლმა სასამართლოში უჩივლა და განქორწინება მოითხოვა. სასამართლომ თხოვნა შეიწყნარა და ცოლ-ქმარნი განაქორწინა.

დიდ ხანს არ გაუვლია ამის შემდეგ და გრაფს ახალი უბედურება დაატყდა თავსა. ტოტლებენი იძულებული გახდა ბერლინიდგან გადახვეწილიყო, რადგან პრუსიის ერთ წარჩინებულ კაცს შეურაცხყოფა მიაყენა (за дерзкія выходки противъ важнаго лица). ბერლინიდგან საქსონიას წავიდა, აქედგან ისევ ჰოლანდიას, სადაც შეიტყო, რომ რუსის დედოფალი ელისაბედი აპირებს მონაწილეობა მიიღოს პრუსიასა და ავსტრიას შორის ატეხილ ომში. ჰოლანდიიდგან ტოტლებენი პეტერბურგს მივიდა და მთავრობას წარუდგინა გეგმა სათარეშო ბრძოლისა (планъ веденія малой войны). გეგმა მოიწონეს, ტოტლებენს გენერალ-მაიორის ჩინი უბოძეს და ჩააბარეს კორპუსი. ამ კორპუსით მონაწილეობა მიიღო შვიდის წლის ომში; ერთს ბრძოლაში კიდევაც დაიჭრა. მცირე წინააღმდეგობის შემდეგ ტოტლებენმა ბერლინიც-კი აიღო, რისთვისაც ალექსანდრე ნეველის ორდენი უწყალობეს.

ერთი სიტყვით, ბედმა გაუღიმა. მაგრამ მალე გამოაშკარავდა მისი ვერაგობა და ორპირობა (двуличное и вѣроломное поведеніе). თურმე ნუ იტყვით, მტერს ორის ურიის, გერშელისა და საბბატკას შემწეობით, მალულად ატყობინებდა რუსის ჯარის მოძრაობის ამბებს. ტოტლებენის კორპუსის პოლკის კომანდირებს გული მოუვიდათ, თვისი უფროსი დაატუსაღეს და საბბატკასთან ერთად პეტერბურგს გაგზავნეს, სადაც ციხეში უკრეს თავი. სამხედრო სასამართლომ 20 მაისს 1762 წ. დაადგინა: ტოტლებენი, როგორც მოღალატე, სიკვდილით დაისაჯოს. ურია საბბატკა-კი განთავისუფლებულ იქმნას, რადგან მას მხოლოდ ტოტლებენის წერილები მიჰქონდ-მოჰქონდა და ჯაშუშობდაო[20].

იმპერატორ პეტრე III-ს გარდაცვალების გამო განაჩენი სისრულეში არ მოუყვანიათ და ტოტლებენი ციხეში იყო გამომწყვდეული 31 მარტამდის 1763 წ. ამ დღეს ეკატერინე მეორემ მოაწერა ხელი ბრძანებას, რომელიც სენატმა 11 აპრილს გამოაქვეყნა. ბრძანებაში ნათქვამი იყო: მართალია, სამხედრო სასამართლომ ტოტლებენი მოღალატედ იცნო, აჰყარა ყოველივე ღირსება და პატივი და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, მაგრამ რადგან მისმა ბოროტმა განზრახვამ ზარალი და ვნება ვერა მოუტანა-რა სახელმწიფოს და სამი წელიწადიც სატუსაღოშია დაპატიმრებული, ჩვენის გულ-კეთილობისა გამო, შევიწყალეთ და სიცოცხლეს აღარ ვუსპობთო...

სიცოცხლე აჩუქეს ტოტლებენსა, მაგრამ ერთის პირობით,—რომ თავისს დღეში ფეხი აღარ შემოედგა რუსეთში. უკეთუ ამას გაჰბედავდა, ყველა რუსის ქვეშევრდომს უფლება ეძლეოდა მოეკლა ტოტლებენი და ამისათვის პასუხს არ აგებდა. გაბაწრული ტოტლებენი 13 მაისს 1763 წ. მიიყვანეს პრუსიის საზღვარზე და განდევნეს რუსეთიდგან[21].

მეთვრამეტე საუკუნეს ბევრი უცნაურობა უნახავს და ნუღარავის გაუკვირდება, რომ ტოტლებენი შეიწყალეს. ექვსის წლის შემდეგ, 1769 წ. მაისში, ტოტლებენმა წიგნი მისწერა ეკატერინეს, შემიწყალე, ნება მომეცი დავსახლდე სადმე რუსეთში, ან ციმბირში, თორემ თავს მოვიკლავო. ეტყობა, სულ დაავიწყდათ ტოტლებენის ,,საქმენი საგმირონი''. დედოფალი პანინსა სწერს: „მე ვფიქრობ, რომ შესაძლებელია ტოტლებენს ნება მივცეთ სადმე ან რუსეთში, ან ციმბირში ბინა ამოირჩიოსო,—ამის შესახებ თქვენ რასა ჰფიქრობთო?[22] თიბათვის ხუთს 1769 წ. გამოცხადდა ბრძანება ,,პეტერბურგის უწყებანში'', რომ ტოტლებენს სასჯელი ეპატივა და ნება მიეცა რუსეთში დაბრუნებისაო.

ტოტლებენი სულ რაღაც წელიწად-ნახევარი იყო საქართველოში. აქედგან განდევნილი, ვარშავაში დაბინავდა და გარდაიცვალა 1773 წ. დაუჯილდოვებელი მაინც არ დასტოვეს და გენერალ-ლეიტენანტის ჩინი უწყალობეს[23].

სწორედ ეს საეჭვო წარსულის კაცი დანიშნა ეკატირინემ მაშველ ჯარის უფროსად. მაშველი ჯარი იკრიბებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში. 4 აგვისტოს 1769 წ. ტოტლებენი ქ. ყიზლიარს მოვიდა ჯარის ჩასაბარებლად, 12 აგვისტოს უკვემოზდოკში იყო, აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში საქართველოს ნიადაგზე შემოსდგა ფეხი და მეფე ერეკლე პირველად ჰნახა ს. ხოდასთან. მეორე დღეს მეფემ ამალით დარბაზობა გადუხადა ტოტლებენს ბანაკში, აღოს მინდორზე[24].

ბევრს უკვირს და გაოცებულია, რამ აიძულა ეკატირინე, რომ ასეთი არა საიმედო კაცი აირჩია და ლაშქარი ჩააბარა სამოქმედოდ სრულიად უცხო, უცნობ და შორეულ ქვეყანაში, რომლისა არც ზნე-ხასიათი და არც ჩვეულება და ისტორია არ იცოდნენ. ასე გასინჯეთ, ისიც-კი არ იცოდნენ, საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი გაშენებული იყო შუა-გულ ქვეყნისა, თუ ზღვის პირად. თვით ბ-ნ ლინდასაც უკვირს, რად ტოტლებენი აირჩიეს ლაშქრის უფროსადაო, მაგრამ ამასთანავე გულმა აღარ მოუთმინა და ტყუილიც მიაკერა. ტოტლებენმა რუსული სუსტად იცოდაო (плохо зналъ по-русски)[25]. Плохо-კი არა, სრულიად არ იცოდა, ბატონო ლინდა, რუსული[26]. ვეიდენბაუმი გაკვირვებით ამბობს—ტოტლებენი როგორ დანიშნეს მხედრობის სარდლად შორეულ საქართველოშიო? ალბად, თავიდგან მოშორება თუ უნდოდათ, რადგან 1769 წ. უკვე დაიწყო ოსმალებთან ომი და მომქმედ ჯარში ადგილს ვერ მისცემდნენ, რადგან, მართალია, ეკატირინემ ტოტლებენის წარსული დაივიწყებას მისცა, მაგრამ ჯარში განა ცოტა იყვნენ აფიცრები, რომელთაც კარგად ახსოვდათ ტოტლებენის მოღალატობა? შესაძლებელია, ჰფიქრობს ვეიდენბაუმი, მართლა თავიდგან მოშორება ჰსურდათ ტოტლებენისა, მაგრამ ის-კი დაივიწყესო, „რომ შორეულ საქართველოში, სადაც ყურის-მგდებელი და ზედამხედველი არავინა ჰყავდა, ტოტლებენს დაუსჯელად შეეძლო ფართო გზა მიეცა თავის საძაგელ გულის-თქმათათვის, ქირით აყვანილ კაცისა და ავანტიურისტის ზნე-ჩვეულებისათვის, ისეთის კაცისა, რომელსაც პირადის სარგებლობისა და ქონების შეძენის მეტი სხვა არა აკავშირებდა-რა იმ ქვეყანასთან, რომლის წარმომადგენლადაც ითვლებოდაო. ესეც რომ არ იყოს, განა აქ, სა-

---

*) იხ. „ივერია“, № 64.

[20] აბა ახლა ჰნახეთ, ლინდა რა ნაირად გვიამბობს თავის გმირის უბედურებას: „Это неудовольствіе (арміи) проявилось весьма рѣзко въ 1761 г., когда по доносу однаго еврея Тотлебенъ былъ обвиненъ въ сношеніяхъ съ Фридрихомъ, арестованъ и отвезенъ въ Петербургъ. Однако, серьезнихъ уликъ противъ него не оказалось и по Высочайшей конфирмаціи онъ былъ только лишенъ чиновъ и высланъ за границу! იხ. «В. Сборн.“ № 9, 1901 г. стр. 24.

[21] იხ. Грамоты... т. I. გვ. VI—VIII; Истор. очеркъ Кавказскихъ войнъ, стр. 83—85.

[22] იხ. Грамотты... т. I, გვ. VIII. ქართულად მოყვანილი წერილი გრამოტებში ფრანგულადაა: ,,Il me semble qu'on pourrait lui permettre un asile quelque part en Russie, en sibérie,—qu'en pensez-vous?“

[23] იხ. „Походъ“... «В. Сб.» № 9, 1901 г. стр. 25.

[24] იხ. Потто, Ист. очеркъ... გვ. 92. აღოსმინდორი ს. კობთანა სძევს; ს. ხოდა აღარ არსებობს. გუდაურის ფოსტის სადგურთან ყოფილა.

[25] იხ. Походъ... „В. Сб.“ № 9, გვ. 24.

[26] იხ. Потто, Ист. очеркъ... стр. 86.

ეროვნული

წევრთა თავშესაფარ შენობისათვის თანხის შესაკრებად.

◆ ქალთა ახალ სამეურნეო საზოგადოების ,,თამარის'' მეთაურებს უთხოვნიათ მიწათ-მოქმედების რწმუნებულისათვის კავკასიაში, უსასყიდლოდ მისცეს მათ აბრეშუმის თესლი, სოფლელებს შორის უსასყიდლოდვე დასარიგებლად.

◆ სენატმა განმარტა, რომ თუმცა ქალაქის საბჭოებს მარტო იმ საქმების განხილვა შეუძლიანთ, რომელნიც შეტანილნი არიან გასარჩევად აღნიშნულ საქმეთა სიაში, მაგრამ ეს კანონი იმას არ მოასწავებს, რომ ხმოსნებისადმი უწყებებში, ანუ გუბერნატორთან გასაგზავნ ქაღალდში ჩამოთვლილი იყოს ყველა ქაღალდები, რომელნიც რომელსამე განსახილველ საქმეს ეხებიან და შეიძლება სხდომაზე მათი განხილვა საჭირო იქმნეს. აგრეთვე არც იმის წინააღმდეგია ეს კანონი, რომ სხდომაზე განხილულ და განსჯილ იქმნან, წინ-და-წინ სიებში აღუნიშვნელად, ის საგნები, რომელთა გამორკვევას იწვევს სიაში მოთავსებულ მორიგ საქმეების ვითარება, თუ-კი ის საგნები თავის-თავად ახალნი არ არიან.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას ტელეგრამით გამოუთხოვნია ნებართვა, რომ მომავალ აღდგომის დღესასწაულების წინ ჯილდოები დაურიგონ მოსამსახურეებს. ამასთანავე აღძრულია შუამდგომლობა, რომ მალე გადასწყვიტონ 1900 წ. ხვედრი პრემიის საქმე, რომ მისი დარიგებაც სააღდგომოდ მოესწროს (,,კასპი'').

◆ ტფილისის ყრუ-მუნჯთა სამზრუნველოს განყოფილებამ თხოვნით მიჰმართა ქალაქის გამგეობას—ხელის მოწერა გახსნას შემოწირულებათა, ყრუ-მუნჯთათვის დასაარსებელ სკოლის სასარგებლოდ.

◆ 20 მარტს ამიერ-კავკასიის რკინის გზების ახალმა უფროსმა ინჟენერმა ივანოვსკიმ შეჰკრიბა მატარებლების ყველა რევიზორები და განუმარტა მათი უმთავრესი მოვალეობანი. ივანოვსის აზრით, მატარებლების რევიზორებს სხვა არავითარი მოვალეობა არ უნდა ჰქონდეთ, გარდა მატარებლების კანტროლისა. იმათ თვალ-ყური უნდა ადევნონ, რომ კონდუქტორებმა უბილეთო მგზავრები არ ატარონ და ამასთანავე ვალდებულნი არიან გამოიკვლიონ ხოლმე ყოველივე უკმაყოფილება მგზავრთა და მატარებლის მოსამსახურეთა შორის, იზრუნონ, რომ ყველა მგზავრს შესაფერი ადგილი ჰქონდეს და, თუ საჭიროება მოითხოვს, მეტი ვაგონის მიბმა მოითხოვონ. სხვა-და-სხვა მინდობილებანი, რომლებსაც აქამდის მოძრაობის რევიზორები მიანდობდნენ ხოლმე მატარებლების რევიზორებს, ამის შემდეგ მოისპობა და მატარებლების რევიზორები იქმნებიან პირ-და-პირ მოძრაობის უფროსის და გზების უფროსის განკარგულებაში. ამასთანავე ბ. ივანოვსკიმ აღნიშნა მგზავრების შემავიწროებელი წესდება იმაზე, რომ პირველი და მეორე კლასების კუპეებს მხოლოდ მაშინ აღებენ, როდესაც სხვა კუპეები ივსებიან მგზავრებით, ე. ი. ვიდრე ერთ კუპეში ოთხი მგზავრი არ მოიკრიბება, სხვა დანარჩენი კუპეები დაკეტილია. გზების უფროსმა განკარგულება მოახდინა, ერთ დროს იღებოდეს ყველა კუპეები და მგზავრებს ნება ჰქონდეთ, სადაცა ჰსურთ, იქ დაიჭირონ ადგილი (,,ცნ. ფურ.'').

◆ შინაგან საქმეთა მინისტრმა ტელეგრამით აცნობა მთავარ-მართებელს თავ. ს. გ. გოლიცინს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა 18 ამა მარტს უმაღლესად ინება: 1) კავკასიის მთავარ-მართებელს მიეცეს ნება ადგილობრივ საბოლოოდ გადასწყვიტოს ყველა საქმეები და ღონისძიებანი, რაც საჭირო იქნება შემახის აღდგენისა და იმ მახლობელ სოფლების მოწყობისათვის, რომელნიც მიწის ძვრისაგან დაზარალდნენ 31 წარსულ იანვარს; 2) დროებით შეჩერებულ იქმნას შემახაში ქალაქის დებულება 1892 წლისა; 3) გაუქმდეს იქ აწ არსებული ქალაქის საზოგადო მმართველობა; 4) ქალაქის სამეურნეო საქმეების წარმოება დროებით მიენდოს შემახის მაზრის საპოლიციო სამმართველოს, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ქალაქის საზოგადოების ორმა დეპუტატმა წესდების ძალით; 5) უფლება მიეცეს კავკასიის მთავარ-მართებელს აღადგინოს შემახაში საქალაქო დებულება 1892 წლისა, როდესაც საჭიროდ დაინახავს და 6) განათავისუფლონ ქალაქი შემახა იმ გადასახადისაგან, რომლითაც ხაზინას ეწევიან პოლიციის შენახვისათვის, სულ 3,680 მანეთისაგან წელიწადში და სხვა ხარჯებისაგან; ქალაქის პოლიციის შენახვისათვის სახლების სამხედრო ბეგარის ხარჯი აკისრონ სახელმწიფო ხაზინას, ვიდრე შემახაში აღდგენილი იქნება ქალაქის დებულება 1892 წლისა (,,კავკაზი'').

◆ ვეჯინი (სიღნაღ. მაზ.): ამ დღეებში ვიღაც ქურდი შეიპარა საწვრიმალოს დუქანში, სადაც შეუდგა ტომარაში ჩაწყობას საქონლისას. ამ დროს გამოეღვიძა დუქნის პატრონს, გამოვარდა უკან კარებიდამ და დაიწყო ყვირილი. ,,მიშველეთო.'' ქურდი გამოვარდა დუქნიდამ ხანჯალ-ამოღებული და ჩაჰკრა მუცელში საბრალო მეწვრიმალეს.

◆ სოფ. გურჯაანი (სიღ. მაზ.): ამ დღეებში აქაც ეწვივნენ ქურდები. შეუცვივდნენ აქაურ მდიდარ გლეხს იაგორ სვიმონიკაშვილს, რაც შინ ფული და ძვირფასი ნივთები ჰქონდა, წაიღეს და თვით სიმონიკაშვილიც ბარძაყში დასჭრეს ხანჯლით. ქურდები შეიპყრეს.

◆ ამ დღეებში მერვე ნაწილის უბანში მოუხდათ შემდეგი კინკლაობა სახლის პატრონ დ—ს და ქალ. ვ—ტს. ამ სამის თვის წინად ვ—ტს დაუქირავებია დ—ვისაგან სახლში ოთხი ოთახი თვეში 35 მანეთად. ვ—ტს ორი თვის ქირა გადაუხდია, მესამე თვის ბოლოს დაუბარებია სახლის პატრონი და უთქვამს, რომ მესამე თვისაც მიიღე და ბარათი მიბოძეთო. სახლის პატრონს დაუწერია ბარათი, რომ სრულიად მივიღეო. ქალ. ვ—ტს გამოურთმევია ბარათი და ჯიბისკენ უკრავს. სახლის პატრონი ეცა ამ ქალს და დაუწყო ჯიბიდამ ამოცლა ბარათისა. ბრძოლამ დიდხანს გასტანა. გამარჯვებული დარჩა ქალ. ვ—ტსა, თუმცა ჯაჯგურში სახლის პატრონმა ცერი ამოაგდებინა ვ—ტს. პოლიციამ შეადგინა ოქმი, ქალ. ვ—ტსმა მესამე დღეს სახლი დაცალა და ერთს ოთახში დასტოვა უზარმაზარი ყუთი, რომელსაც ათი მუშა ვერ დასძრავს...

იმერეთის ამბები:

◆ ქუთაისი: აქაურ ქალაქის საბჭოში 18 მარტის კრებაზე ხელ-ახლად ამოჰყო თავი მილის წყლის გაყვანის საქმემ ხმოსნის მიხეილ დარახველიძის მეოხებით. მისი განცხადება მოგვითხრობდა, რომ ინჟენერ მიხაილოვს უსამართლოდ მოვეპყარით, როცა დავავალეთ, რომ წყალი მესამე ვერსის ბოლოდგან წამოიყვანოს. იგი სრულიად ვალდებული არ არის და ამისათვის ხელ-ახალი კომისია უნდა ამოვირჩიოთ ამ საკითხის გადასაწყვეტადო და მართლაც მისმა დაგვიანებულმა ღაღადისმა ხმოსნების უმრავლესობა მიიმხრო და კიდევ ხელ-ახალი კომისია ამოირჩიეს ამ საქმის გამოსარკვევად. ჩვენ გვაკვირვებს ხმოსნების ამგვარი დაუდევრობა! სამი წელიწადია ამ საბედისწერო წყლის საქმეს არკვევენ და პირობის პარაგრაფებს იურიდიული სიმაგრე ვერ მისცეს, თუმცა მათ შორის მრავალი იურისტია!

ამ საქმეებთან ერთად საგანგებო კომისიას გადასცეს აგრეთვე ეკლარის ქვის საქმეც. აქაც ხმოსნებს უფიქრიათ: ეს საქმე ზარალის მეტს არას მოგვცემს და ისევ იჯარით გავცეთო. ნეტავ, როდემდის უნდა დაემადლონ ჩვენი ხმოსნები ქალაქის საქმეების სამეურნეო ღონსძიებით წარმოებას? ნუ-თუ დრო არ არის ამ გვარ საქმეებს ისე მოეპყრან, როგორც უნდა და არა ქუთათურად?

შეცდომის გასწორება:

იაკობ გოგებაშვილის წერილს, რომელიც დავბეჭდეთ გუშინდელს ნომერში, დასტამბის დროს გამოაკლდა ერთი ფრაზა, რის გამოც აზრი ძლიერ დაკოჭლდა. აღვადგენთ სავსებით ამ ადგილსა. დაბეჭდილია: „მე გაუგზავნე სკოლებს 25 ქართული სახელმძღვანელო, რომელთა ღირებულობა არ აღემატება ორს თუმანსა“. პირველს და მეორე ფრაზას შუა უნდა ყოფილიყო: „და იმდენივე რუსული სახელმძღვანელო.“ უამისოდ ხსენებული ქართული სახელმძღვანელოების ფასი დაიჭერს დაახლოვებით თუმანსა და არა ორს თუმანსა.

ნარკვევი.

ამას წინად ტფილისის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარემ მიჰმართა მოსკოვის სამოსამართლო პალატას. კავკასიაში 50 თავისუფალი ადგილია მომრიგებელ მოსამართლეთა და გამომძიებელთა და თქვენს ოლქში მსურველები ხომ არ იქნებიან, ეს ადგილები დაიკავონო. მოსკოვიდგან მხოლოდ სამმა კაცმა ისურვა აქეთ წამოსვლა.

რუსეთის გაზეთებმა ყურადღება მიაქციეს ამ გარემოებას. გაზეთმა „ბირჟ. ვედ.“-მა, სხვათა შორის, სთქვა, რომ საჭიროა კავკასიაში მოხელეთათვის ჯამაგირების მიმატება და სამსახურის პირობათა გაუმჯობესება, ან სასამართლოებში იქ ადგილები უნდა მიეცეთ უფრო ნაკლების ცენზის კაცებსაო.

რუსეთის გაზეთები სრულებით არ იცნობენ აქაურს ვითარებასაო, სამართლიანად სწერს ამის გამო «ტფილ. ფურ.» და მათი მსჯელობა სწორედ საოცარია.

საქმე ის არის, რომ ჩვენში იურისტები საკმარისად არიან და მათი რიცხვი სრულიად სამყოფია ხსენებულ ადგილებისათვის, მაგრამ მათ არ აძლევენ ამ ადგილებს, ალბად იმიტომ. რომ რაღაცა მიზეზისა გამო უვარგისად სთვლიან. ამის შედეგია ის, რომ ბევრს ახალგაზდას, რომელსაც იურიდიული განათლება მიუღია და უნდა სამშობლო მხარეს ემსახუროს, შეძლება არა აქვს თავის ძალ-ღონის გამოჩენისა და იძულებულია სხვა გარეშე საქმეს მოჰკიდოს ხელი. ჩვენებურ ახალგაზდა იურისტების დიდი უმრავლესობა-კი ძალა-უნებურად მიდის ადვოკატებად, მაგრამ დღეს ისე გამრავლდნენ ვექილები, რომ ბევრი მათგანი სამუშაოს ნაკლებად ან სრულებით ვერ შოულობს, მაშინ როდესაც მოსამართლეთა და გამომძიებელთა ადგილები თავისუფლად არის დარჩენილი. აი, ეს ადგილები რომ ამ იურისტებს მისცენ, მაშინ არ იქნებოდა საჭირო არც ჯამაგირებს მომატება, არც მცირე-ცენზიან კაცების სამსახურში მიღება.

ამ გვარად საქმე ადგილობრივ ძალთა მოხმარება და გამოყენებაა. ამათ-კი დიდის სარგებლობის მოტანა შეეძლოთ, რადგან მათ იციან აქაური ენები, ვითარება, ზნე-ჩვეულებანი და სხ., რაიცა სასამართლოს დაუახლოვებს ცხოვრებას.

ჩვენში იურისტები საკმარისია, მაგრამ უნდა მოვიწვიოთ ისინი აქტივურ როლისათვის და უნდა უკუ ვაგდოთ ის შემცდარი აზრი, ვითომც არ ვარგოდნენ ამ მოღვაწეობისათვის.

⁂

საზოგადოდ ის აზრია გავრცელებული, ამბობს გაზეთი „ნოვოსტი“, რომ შინა-მრეწველობა უკან ჩამორჩენას მოასწავებს და მას ხელი არ უნდა შევუწყოთო, მაგრამ, თუ რუსეთის ნამდვილ ცხოვრებას ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ შინა-მრეწველობის არსებობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მიწათ-მოქმედებასთან (იხ. გუშინდ. ნარკვევი).

შინა-მრეწველობის კავშირი მიწათ-მოქმედებასთან არამც თუ მტკიცეა დღეს, არამედ იგი მტკიცე იქნება მომავალშიც, რადგან შეძლებას აძლევს მიწათ-მომქმედს გლეხს გარეშე შემოსავალი იქონიოს. ამიტომ სრულიად სასურველია საგლეხო მიწის მფლობელობის გადიდებასთან და სამიწათ-მოქმედო შრომის განვითარებასთან ერთად შინა-მრეწველობის განვითარება ექსტენსივურად და ინტენსიურად. დიდი საფაბრიკო-საქარხნო წარმოება საჭიროა უმამულო გლეხ-კაცობისათვის სამუშაოს მისაცემად, მაგრამ ხელოვნურად წაქეზებული და განვითარებული საფაბრიკო მრეწველობა მიიზიდავს ისეთ კაცთაც, რომელთაც შეეძლოთ სოფელში დარჩენა და მიწის შემოსავალი შინა-მრეწველობის შემოსავლით შეევსონ. ასეთ კაცების სოფლად მიწათ-მომქმედებად დარჩენისათვის არის სწორედ საჭირო, რომ დავეხმაროთ შინა-მრეწველობას.

რასაკვირველია, შინა-მრეწველობის მნიშვნელობის გაზვიადება ყოვლად უსაფუძვლოა, მაგრამ მას რომ შეუძლიან დღეს სარგებლობის მოტანა და დახმარება მიწათ-მოქმედებისათვის, ესაც ეჭვს გარეშეა.

რუსეთი

ამბობენ, ვითომც მთავრობას უნდა დააარსოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ახალი საგლეხო დეპარტამენტი, რომელშიაც შეერთებული იქნება ყველა საგლეხო საქმეები.

— ყაზანის, პერმისა და სხ. გუბერნიებში მცხოვრებლები ძლიერ შეწუხებულნი არიან მოუსავლობისა და სიმშილისა გამო. ბევრგან გახშირდა სურავანდი (ЦЫНГА) და სხ. ავადმყოფობა. გაზეთი „სიბირ. ჟიზნ.“ იწერება, რომ მინუსინსკის მაზრაში ბოროტ-მოქმედება და ავაზაკობა გახშირდაო და რამდენიმე მკვლელობა მოხდაო პურისათვის; ამას წინად მოკლულ იქმნა ერთი ბავშვი, რომელსაც ტომრით ფქვილი მიჰქონდა წისქვილიდგან; მკვლელმა ფქვილი წაიღო და წავიდა.

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისური გაზეთები ძალიან ბევრსა სწერენ ახლად გარდაცვალებულ სესილ როდსის შესახებ. კონსერვატიულ და ლიბერალ-იმპერიალისტურ გაზეთებს თითქმის ცამდე აჰყავთ ის კაცი, რომელმაც ინგლისი ასეთ ომში ჩაითრია. სამხრეთ-აფრიკის ომი რომ როდსის ხრიკებისა და ოინების ნაყოფია, ამას ინგლისში თითქმის არავინა ჰყოფს უარს. მართალია, როდსი მეტად მხნე და მომქმედი კაცი იყო, მაგრამ საკითხი ეს არის: თავისს მხნეობით სარგებელი თუ ზარალი მოუტანა ინგლისს. აი, რასა სწერს გაზეთი „Star“-ი: „სესილ როდსი დამარხულ იქმნა თავისსავე თავმოყვარეობის ნანგრევებში. იმისმა ნამოქმედარმა მიწასთან გაასწორა სამხრეთ-აფრიკის ცივილიზაცია და შეარყია ბრიტანიის სახელი აფრიკაში. ადვილია კარგის თქმა მიცვალებულზედ. მაგრამ საჭიროა როდსის ნამოქმედები ვაჩვენოთ იმათ, ვისაც როდსი ზეცაში აჰყავს. საჭიროა გავაგონოთ ერს, რომ ფული, მამულების შეძენა და უზომო თავმოყვარეობა

ქართველოში, კი არ იყვნენ, აი თუნდ იგივე მოურავოვი, რომელთაც კარგად იცოდნენ ტოტლებენის მიერ ჩადენილი ამბები პომერანიაში? ამისთანა სარდალს ჯარი ვერ ენდობოდა და თვით ტოტლებენიც თითოეულს აფიცერს ეჭვის თვალით უყურებდაო'' [27]).

ასეთი კაცი რა სიკეთესაც მოუტანდა საქართველოსა, ადვილად მისახვედრია. აკი არც მოუტანა. აი, რას იწერებოდა საქართველოდგან პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი: „ჩემის შეხედულობით, ტოტლებენი ან გადირია, ან ღალატს აპირებს. მისი საქციელი ჰმოწმობს, რომ ყველაფერში რუსის უმაღლესის კარის წინააღმდეგ იქცევა. სულ იმის ცდაშია აქაური მეფეები ერთმანეთს გადაჰკიდოს, თავადიშვილებს ცუდად ეპყრობა, ბევრს მათგანს სცემს, ბევრს კიდევ ბორკილებს უყრის ფეხებში და აპატიმრებს, სოფლებს არბევს, უსასყიდლოდ იტაცებს საქონელსა და პურსა, ახალციხის ფაშასთან მიწერ-მოწერას ჰმართავდა ხოლმე; გადასწყვიტა რუსეთს დააბრუნოს თორმეტი საუკეთესო აფიცერი. არავის არა სტოვებს გერმანელების მეტს და ყოფა-ქცევით ყველაზე უვარგის რუსების გარდაო“ [28]).

ბ-ნი ლინდა ბრძანებს, ჩოგლოკოვს რა დაეჯერება, უცნაური კაცი იყო და ტოტლებენზე გულმოსულიო. ეს მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ, რაც ჩოგლოკოვმა აქა სთქვა, ყველა შემოწმებულია იმ დოკუმენტებით, რომელიც პროფ. ცაგარელმა დაბეჭდა და, მაშასადამე, ამ შემთხვევაში ჩოგლოკოვს ძალა-უნებურად უნდა ვენდნეთ ჩვენც და თვით ბ-ნი ლინდაც. ჩოგლოკოვი იმასაც ამბობს, ტოტლებენი იმიტომ გადამეკიდა, რომ ერეკლე მე უფრო კარგის თვალით მიყურებდა, ვიდრე ტოტლებენსაო. დიაღაც რომ ეს ჭეშმარიტებაა. ერეკლე ყველა რუსს უმაღლესის თავაზიანობით ეპყრობოდა, თვით ტოტლებენსაც კარგად ექცეოდა იმ დრომდე, ვიდრე სამეფო არ აუჯანყდა და ქვეყანა არ აუოხრა. ამის შემდეგაც-კი მზად იყო ერეკლე შეჰრიგებოდა ტოტლებენს, იაზიკოვის თხოვნით, მაგრამ ტოტლებენმა არ მოისურვა. სხვა მრავალ სიკეთესთან ამ დამთხვეულ კაცს ჯიუტობაც სჭირდა *).

ტკბილად და ალერსიანად ტოტლებენი არც ველიჩკომ მოიხსენია. «რუსულ აზრსა და იდეალს არ ემსახურებოდა ეს საეჭვო და პირქუში კაცი, ვერ გამოიჩინა ერთგულობა რუსეთის ანდერძისა და აღთქმისა, როდესაც მონაწილეობას არ იღებდა გაჭირვების დროს ბრძოლაში, როდესაც მოკავშირეს (ერეკლეს) ამით განსაცდელში აგდებდა და როდესაც უაზროდ და უსაგნოდ ჰღუპავდა რუსის მხედრობას დასავლეთ კავკასიაში (იმერეთში) თავქარიანად ჯარების აქეთ-იქით წაყვან წამოყვანითა. ჩვენის ჯარის გამოყვანას ამის შემდეგ საქართველოდგან თან მოჰყვა სპარსეთის შაჰის აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა 1795 წ. და ტფილისის გულგასაგმირი აოხრება [29]).

ბ-ნ ლინდას არც ველიჩკოს მსჯავრი მოსწონს და მეცნიერულის თავმდაბლობით ბრძანებს: ,,მართალი-კია ასეთი სასტიკი მსჯავრი''? მაჰმადის შემოსევას და ტფილისის აოხრებას საერთო რა აქვს ტოტლებენთანა? ტოტლებენი რა შუაშია ამ უბედურებაში, რომელიც ქართველებს შემდეგ თავს დაატყდათ? ტოტლებენი უფრო იმაშია გასამტყუნარი, რომ მეტის-მეტის სიფრთხილით იქცეოდა და არა იმაში, რომ თავქარიანივით ჰმოქმედებდაო; გასამტყუნარია უფრო იმაში, რომ შიშობდა გულადად მტერს მისვლოდა და არა იმაში, რომ თავქარიანივით ჰღუპავდა ჯარსაო“ (ib. გვ. 77).

ტოტლებენის კორპუსის წაყვანას საქართველოდგან დიდი კავშირი აქვს ტფილისის აოხრებასთან, თუ დავუფიქრდებით; თუ არა და, რასაკვირველია, არაფერი. რუსების შემოსვლა იყო უპირველესი მიზეზი, რომ ყიზილბაშნი და ოსმალნი ასე გადაეკიდნენ საქართველოს და ჩვენი ისტორიკოსი-კი გაიძახის, ჯარის გაყვანას რა კავშირი აქვს ტფილისის აოხრებასთანაო! მტერს გულადად არ ებრძოდა ტოტლებენი, ფრთხილობდა, ამაშია გასამტყუნარიო. ერეკლეც მაგას არა სჩიოდა, მოსეულ მტერთან მარტოდ-მარტო დამტოვა და უკან გაიქცაო. საჩივლელი სხვა რა არის, თუ არ ისა, რომ მტერს-კი არ ებრძოდა ტოტლებენი, მოკავშირეების მტრობაში ამოსდიოდა სული. მისი აქ გამოგზავნის ერთად-ერთი მიზეზი და საბაბი ის იყო, რომ რუსსა და ქართველს ოსმალეთისთვის ზიანი მიეყენებინათ. თუ-კი არ იომებდა და მტერს ზურგს უჩვენებდა, მაშ, რიღასთვის გამოგზავნეს გრაფი ტოტლებენი?...

ვსთქვათ, ბ-ნმა ლინდამ ცაგარლის მიერ დაბეჭდილი დოკუმენტები ისე შეისწავლა, რომ საკუთარი აზრი შეადგინა ტოტლებენის შესახებ და სხვას აღარას უჯერებს, ეს შესაძლებელია; მაგრამ ერთი რამ გვაკვირვებს დიდად. როგორ გაჰბედა ბ-ნმა ლინდამ და არ დაუჯერა თვით რუსეთის თვითმპყრობელს ეკატერინე დიდსა? ისე როგორ გაკადნიერდა, რომ ეკატერინე მეორესიც არა სწამს-რა და მაინც თავისას გაიძახის: ტოტლებენს არა დაუშავებია-რაო... მეტის-მეტი მამაცი უნდა იყოს ჩვენი ავტორი, თორემ სხვა ისტორიკოსი, ისიც სამხედრო, ამას ვერ გაჰბედავდა. აი რა აზრი წარმოსთქვა ტოტლებენზე ეკატერინე დიდმა: „Я думаю, что онъ способнѣе въ Грузіи наши дѣла испортить, нежели оныя привести въ полезное состояніе; надлежитъ опредѣлить кого другого, я чаю.“ [30])

არც ისე ბოროტნი ვართ, რომ ლინდას სანუგეშებელი არა მოგვეპოვებოდეს-რა. ტოტლებენის ბეზღობა და ლანძღვა-გინება ქართველებისა სავსებითა სჯერა სომეხთა ცნობილ ისტორიკოს ბ-ნ გ. ა. ეზოვს. ტოტლებენის ლაშქრობისს ამბავი ბ-ნ ეზოვს ისე აქვს მოთხრობილი, რომ ყველაფერში ქართველები გამოდიან მტყუანნი, გენერალი-კი მართალი. ეზოვს უკრიტიკოდ სწამს ყველა ის სისაძაგლე, რაც ტოტლებენმა ქართველებს თავზე მოახვია. მაგალითად; „ქართველები, სწერს გრაფი მთავრობას, ოდეს რუსები ეომებოდნენ ოსმალებს, არხეინად იდგნენ, ხელს არ ანძრევდნენ საშველად და მხოლოდ ძარცვა-გლეჯას მისდევდნენო.“ ეზოვმა ეგრევე განუხილველად მოიყვანა თავის ისტორიაში ის მშვენიერი ეპიტეტები, რომლითაც ტოტლებენმა უხვად შეგვამკო: „ქართველები გაიძვერანი და ფლიდნი არიან, ანგაარნი, ბიწიერნი, გაგებაც არა აქვთ, რა არის კეთილი... ქართველთაგან, მგონია, მოსალოდნელი არ არის არც ვაჟკაცობა, არც მორჩილება, რადგანაც თვისნი დღენი მონობაში გაუტარებიათ და სულ-მოკლენი შექმნილანო.“ [31])

რა ვაჟ-ბატონიცა ბრძანდება სომეხთა ისტორიკოსი გ. ა. ეზოვი, კარგად ეცოდინება ქართველ მკითხველს ილია ჭავჭავაძის მშვენიერ თხზულებიდგან „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი.“ ეცოდინება აგრეთვე, თუ წაუკითხავს წერილი ა—ლისა „საქართველოს ისტორია და ბ-ნი ეზოვი.“ [32])

საამხანაგოდ და სამეგობროდ ეს ეზოვიც ეყოფა ბ-ნ ლინდას.

ა. ფრონელი.

(შემდეგი იქნება)

---

[27] ibidem, გვ. 85—86. დედანში ასეა: Здѣсь вдали отъ всякого надзора и контроля, Тотлебенъ могъ безнаказанно дать полный просторъ своимъ дурнымъ страстямъ и привычкамъ авантюриста-наемника, ничѣмъ, кромѣ личной выгоды, не связаннаго съ тою страною, которой онъ являлся представителемъ".

[28] იხ. ს. მ. სოლოვიოვი, т. 28, გვ. 669. დედანში ასეა: „Тотлебенъ или съ ума сошелъ, или какую-нибудь измѣну замышляетъ, поступая во всемъ противъ интересовъ Русскаго двора: тамошнихъ царей между собою ссорилъ, съ князьями обходился дурно, многихъ изъ нихъ билъ, другихъ въ оковахъ держалъ, деревни разорялъ, безденежно бралъ скотъ и хлѣбъ, вступалъ въ переписку съ Ахалцихскимъ пашою, назначилъ для отсылки въ Россію 12 лучшихъ русскихъ офицеровъ, не оставляя никого, кромѣ нѣмцевъ и самыхъ негодныхъ по поведенію Русскихъ“.

*) აი, რა სწერია «ქართლის ცხოვრებაში»: აიყარა თავისის ჯარით (ტოტლებენი) და წარმოვიდა (აწყურიდგან) მოვიდა მეფე ირაკლი, მრავალს ეხვეწნა. გარნა მან არა უსმინა და ნებისაებრ თვისისა გამობრუნდა. ხოლო დასდვა მეფე ირაკლი და სთქვა ესრეთ: „უმჯობეს არს სიკვდილი ჩემი, ვიდრემდის ამათგან (ოსმალ-ლეკთაგან) რუსეთის მხედრობას ევნოს რამეო“. რუსის მხედრობის გაბრუნება რომ დაინახეს, ციხიდგან გამოცვივდნენ გაამაყებულნი ოსმალ-ლეკნი და ეცნენ ირაკლის. „იქმნა ბრძოლა ძლიერი და ფიცხელი, ვიდრე სამ საათამდე და ლეკნი და ოსმალნი უკუ-დგნენ სიმაგრეთა და რუსნიცა შემოვიდნენ ხეობაში სამშვიდობოს“. იხ. „ქ. ცხოვრება“ ნაწილი მეორე, გვ. 491. აქედგან ცხადადა სჩანს, გულნატკენი ერეკლეც რომ გაქცეულიყო, ტოტლებენის ჯარს მთლად ამოსწყვეტდნენ ოსმალნი ბორჯომის ვიწრო ხეობაში.

[29] იხ. Походъ... № 12, „В. Сб.“, გვ. 76—77 „Не русской идеѣ служилъ этотъ темный человѣкъ и не русскимъ завѣтамъ былъ онъ вѣренъ, когда, подвергая союзника опасности, отстронялся отъ боеваго участія въ острыхъ случаяхъ и затѣмъ безъ цѣли и смысла губилъ рус. войско-легкомысленно предпринятыми дѣйствіями въ западной части Закавказья Послѣдовавшій затѣмъ уходъ нашихъ войскъ изъ Грузіи вызвалъ нашествіе перс. шаха Магомета и ужасающій разгромъ Тифлиса“...

[30] იხ. ს. მ. სოლოვიოვი, ტ. 28, გვ. 669; Грамоты—т. I. გვ. XXIII—XXIV. ქართულად: ,,ჩემის აზრით, ტოტლებენი უფრო ჩვენ საქმეებს გააფუჭებს საქართველოში, ვიდრე წესსა და რიგზე მოიყვანს. ვფიქრობ, საჭიროა მის მაგიერ სხვა ვინმე დაინიშნოს.''

[31] იხ. „Сношенія Петра Великаго съ армянскимъ народамъ“, გ. ა. ეზოვისა, გვ. LXXXVII—XCII.

[32] იხ. ილია ჭავჭავაძის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“, გვ. 113—130, მეორე გამოცემა; ჟურნალი «მოამბე» 1899 წ. № 1 „საქართველოს ისტორია და ბ-ნი ეზოვი“, წერილი ა—ლისა.

მაგდენად საქები და სადიდებელი არ არის, რამდენადაც ჩვენში ადიდებენ. როდსს ეგონა, რომ ყველას მოვისყიდი ჩეკის წიგნებითაო, და უანგარიშოთ, უსირცხვილოთ ხარჯავდა ფულს, რათა ერი ამ ომში ჩაეთრია. როგორც კერძო კაცი, როდსი ბევრის სიკეთით იყო ცნობილი, მაგრამ, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, იგი ინგლისის ბოროტ ანგელოზს შეადგენდა“.

— რადგანაც ეხლა სხდომები არ არის, მინისტრები ლონდონიდგან წავიდნენ, ამიტომ გაზეთების სიტყვით, მთავრობა ამ ცოტა ხანში ვერავითარ ცნობას ვერ გამოაქვეყნებს მოლაპარაკების შესახებ.

სამხრეთ-აფრიკის ომი. ლონდონიდგან ,,Temps''-ს ატყობინებენ: ,,მეფე ედუარდს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა გარეშე საქმეთა მინისტრ ლანდსდოუნთან—სადილადაც-კი მინისტრი მეფესთან დარჩენილა. ამბობენ, რომ სამხრეთ-აფრიკის ომის შესახებ ჰქონდათ ლაპარაკიო. მეფე აღარა ჰმალავს თურმე, რომ გულითა და სულით უნდა ბოლო მოუღოს ომს.

— როგორც ვუწყით, ინგლისელებმა ყურები გამოუჭედეს ევროპას, დელარეი დავამარცხეთ, 135 კაცი ტყვედ წამოვიყვანეთ და სამი ზარბაზანი წავართვითო. ერთს აფიცერს, რომელიც სამხრეთ-აფრიკაში ყოფილა, უთქვამს,—ვერაფერი გამარჯვებაა ესაო. ტყვეთა შორის ბევრი უიარაღო ყოფილა. რაც შეეხება ზარბაზნებს, ბურები თვით სტოვებენ თურმე, რადგანაც მთა-გორიან ადგილებში ძალიან უძნელდებათ მძიმე ზარბაზნების თრევა.

— ერთ გაზეთში ჩამოთვლილია ის ავკაცობანი, რაც ინგლისის მთავრობასა და გენერლებს სამხრეთ-აფრიკაში ჩაუდენიათ. აი, ეს ავკაცობანი: 1) ინგლისმა ააღელვა და შეაიარაღა ბურების წინააღმდეგ შავ-კანიანნი; 2) მეტად უდიერად და სასტიკად მოექცა ბავშვებს, დედაკაცებს და უიარაღო მოხუცებს; 3) სამკურნალო შეწყალება არ აღმოუჩინა ბურებს; 4) სიკვდილითა სჯიდა პატიოსან კაცებს, რომელნიც სამშობლოს დასაცველად მტერს ებრძოდნენ; 5) შურითა და მოტყუებით ტყვე ბურები შეაცდინა და თავიანთ მოძმე ბურებისავე წინააღმდეგ გაიყვანეს საბრძოლველად; 6) გადასწვა სახლები და დაიჩემა კერძო საკუთრება.

— აი, რასა სწერს ბურებისა და ინგლისელების შესახებ ,,Truth''-ის კორესპონდენტი: ,,ბურებსა და ინგლისელ ჯარის-კაცებს სამაგალითო ურთიერთობა აქვთ და ბურები სრულიადაც არ უყურებენ სიძულვილით ინგლისელებს. როგორც ბურებს, ისე ინგლისელ ჯარის-კაცებს სძულთ და ეზიზღებათ ჩემბერლენი და ლორდი მილნერი. ამას გარდა, ჰირივით სძულთ ახალშენის ჯარი. ეს ჯარი ძარცვა-გლეჯის მეტს არაფერს აკეთებს თურმე. არც საკვირველია: ეს ჯარი ავაზაკებისა და ქურდებისაგან არის შემდგარი''. ომი, კორესპონდენტის აზრით, ძალიან დიდ-ხანს გაგრძელდება.

ავსტრ-უნგრეთი. გერმანელთა ჟურნალ-გაზეთობა ძლიერ განრისხებულია სლავიანებზედ. ამისი მიზეზი სლავიანთა უკანასკნელი გამარჯვებაა პარლამენტში და გერმანელების დამარცხება. როგორც ვუწყით, გერმანელებმა გადასწყვიტეს ობსტრუქცია გაუწიონ მთავრობას. ზოგიერთი გერმანელნი ურჩევენ თანამოძმეებს, ხელი აიღონ ობსტრუქციაზედ. ამასა ჰქადაგებს, მაგალითად, პროგრესიული დეპუტატი შიუკერი. იმის აზრით, გერმანელებმა ყოველი ღონე უნდა იღონონ და გერმანელთაგან უმრავლესობა შეადგინონ პარლამენტში. ჩეხურ გაზეთების სიტყვით, ასეთი უმრავლესობა არასოდეს არ შესდგება, რადგან გერმანელ დასებს ჰირივითა სძულთ ერთმანეთიო.

წვრილი ამბები

ამას წინად ბუენოს-ჰაირესიდგან (სამხრეთ ამერიკაშია) ოდესაში დაბრუნებულა ახალგაზრდა, მეტად ლამაზი ქალი გ—ნი, რომელიც კ—ს მოტყუებით წაუყვანია იქა და დიდ-ძალი ფული აუღია. გ—ნი ოდესელი ყოფილა, ღარიბ დედ-მამის ქალი. დიდ-ხანს იგი ერთ მაღაზიაში მსახურებდა. ორის წლის წინად ქალს ვიღაც კ. გაუცნია, რომელიც ისე გულ-მოდგინედ შესდგომია არშიყობას, რომ მალე ქალის გული მოუნადირებია. ქალს თავისი ნაცნობი დედ-მამის სახლში მოუწვევია. იქაც ძალიან მოსწონებიათ იგი და როდესაც წინადადება გაუკეთებია, ქალსაცა და დედ-მამასაც სიხარულით მიუღიათ. ახალგაზრდანი დანიშნულან; ქორწილის დღეც დაუნიშნავთ. მაგრამ არ გასულა დიდი დრო, რომ კ—ს თავისი დანიშნული მოტყუებით ვენისაკენ გაუქცევია. ამ ქალაქში მათ კ—ს ნათესავი ქალი დახვედრიათ. ვენაში ახალგაზრდა ქალი ბევრს ეხვეწა თურმე, ჯვარი დავიწეროთო, მაგრამ დანიშნული უარზედ იდგა. ბოლოს უთქვამს, ოდესაში დავბრუნდეთო. ჩამსხდარან გემში, მაგრამ ოდესის ნაცვლად ამერიკისაკენ გასდგომიან გზას. ქალი გვიან მიმხვდარა ამ ოინს. ბევრი უტირნია, მაგრამ რას გააწყობდა მარტოდ-მარტო. კ—ს და იმის ნათესავ ქალს, რომელიც ცოლი გამომდგარა პირველის, ახალგაზრდა ქალი ბუენოს-ჰაირესში ჩაუყვანიათ და იქ იმის სხეულით ვაჭრობას შესდგომიან. ქალს იქ სხვებიც უნახავს, ოდესიდგან ამავე ვაჭბატონის მიერ წაყვანილნი. წლი-ნახევრის შემდეგ კ—ს როგორც ეს, ისე წინად ჩაყვანილი ქალები, უკანვე ოდესაში დაუბრუნებია, მაგრამ უთქვამს, არავის არაფერი უთხრათ, თორემ სამაგიეროს გადაგიხდითო. საქმე შემთხვევით გამჟღავნებულა. კ—ს ერთის ოდესელის ცოლი შეუცდენია, ქმარს როგორღაც გაუგია ამ ვაჭბატონის ოინები და პროკურორისთვის უცნობებია. ბოლოს ყველაფერი გამომჟღავნებულა.

ამას წინად ვენაში ადგილობრივ სასამართლოს განუხილავს საქმე ერთის ახალგაზრდა ქალისა, რომელსაც თავისი დანიშნული მძიმეთ დაუჭრია. სასამართლოში შემდეგი გამორკვეულა. მთელი ათი წელიწადი ინახავდა თურმე ქალი თავისს დანიშნულს, სულ იმას აძლევდა, რასაც-კი ხელსაქმითა და სამსახურით იღებდა. იმ დროს დანიშნული სტუდენტად ყოფილა და ჰპირდებოდა, როდესაც გავათავებ, ჯვარს დავიწერავთო. მაგრამ, როდესაც გაუთავებია და ადგილი უშოვნია, სხვა ქალთან დაუწყია კურკური და ამავე დროს მესამე ქალზედაც დანიშნულა. როდესაც ყოველივე ეს პირველ დანიშნულს შეუტყვია, მისულა ორანჟთან (ასე ეძახდნენ დონ-ჟუანს) და რევოლვერი დაუცლია. სასამართლოს, განუხილავს-რა ეს საქმე, ახალგაზრდა ქალისთვის ოთხის თვით დაპატიმრება გადაუწყვეტია.

* * *

უცნაური ქორწინება მომხდარა ამერიკაში. ვესტონის მცხოვრებს ვიღაც მარკვოოდს ამ რამდენისამე წლის წინად ცოლად შეურთავს ახალგაზრდა ქალი აბბი სმიტი. ეხლა კიდევ ამ მარკვოოდის შვილს შეურთავს აბბი სმიტის, ე. ი. თავის მამის ცოლის დედა, ქვრივი სმიტი. ამ რიგად ახალგაზდა კაცი თავისს მამის სიმამრად გადაიქცა, ხოლო მამა თავისს შვილის სიძედ.

* * *

შემდეგს ამბავს გადმოგვცემენ პარიჟის გაზეთები. 26 მარტს (ახ. სტ.) პარიჟში მოულოდნელად ჭკუაზედ შემცდარა საკმაოდ ცნობილი მხატვარი ეჟენ ჟულიენი. სადამოთი გადაუწყვეტია ცეცხლზედ თავის დაწვა. ეს ამბავი მაშინვე თავისის დედისთვის გაუზიარებია, რომელიც დიდის სიხარულით მიჰგებებია მას და უყოყმანოდ უთქვამს, მეც შენთან დავიწვავ თავსაო. დაუდევნიათ სკამები და სტოლები, დაუყრიათ შუა ოთახში, ცეცხლი წაუკიდებიათ და შიგ ჩამდგარან. მეზობლებს დაუნახავთ-რა კვამლი, გაქანებულან მხატვარის სადგომისაკენ, მაგრამ მხატვარი და იმისი დედა მაგრა ჩაკეტილიყვნენ. ბოლოს პოლიციას კარები გამოუმტვრევია და ისე შესულა. პოლიციელის დანახვაზედ დედა-შვილს ერთი ყვირილი შეუქმნიათ. ძალად გამოუყვანიათ თურმე ცეცხლიდგან და საავადმყოფოში წაუყვანიათ. გზაში დედაც და შვილიც ეტლიდგან გადმოვარდნას ცდილობდნენ. საყურადღებო აქ ის არის, რომ დედა-შვილი ერთს დროს შეშლილან.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

თქვენის პატივცემულ გაზეთის 29 №-ში მოთავსებული იყო წერილი თელავის ბიბლიოთეკის შესახებ ბ. ს—შვილისა, რომელიც იწერებოდა, რომ „შარშან თელავის საზოგადო ბიბლიოთეკას 120 წევრი ჰყავდა და წელს-კი იკლო იმიტომ, რომ ჟურნალ-გაზეთების გამოწერა დააგვიანესო“. ნებას მივცემ ჩემს თავს და მოვაგონებ ბ-ნს ს—შვილს, რომ ესეთი სინამდვილეს მოკლებული ცნობის მოწოდება არ არის კარგი. რომ ენებებინა და გაეშინჯა ბიბლიოთეკის დავთრები, დარწმუნდებოდა, რომ შარშან, 1901 წ., ბიბლიოთეკაში ჩაეწერა პირველ სამ თვეს 21 კაცი და წლის გასვლამდის 96 და არა 120, როგორც თქვენ სწერთ. ამ ჟამად-კი სულ 86 წევრია და დღე და დღე კიდევ ეწერებიან. რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთების გამოწერას, რომელზედაც სამდურავს იძლევა ბ-ნი ს—შვილი ვითომ თავისს დროზე არ გამოგვეწეროს, მოგახსენებ, რომ ყველა ჟურნალ-გაზეთები თავისს დროზე იყო გამოწერილი და თავისს დროზედაც მოგვივიდა, მხოლოდ იმ რედაქციებმა ცოტათი დააგვიანეს, რომელთაგანაც უსასყიდლოდ გვეგზავნება. დღეს-კი ბიბლიოთეკას მოსდის შემდეგი გამოცემანი: „ივერია“, „ცნ. ფურცელი“, „მოამბე“, „კვალი“, „ჯეჯილი“, „მოგზაური“, „Кавказъ“, „Кавказ. Вѣстникъ“, „Нов. Обоз.“, „Тифл. Лист.“, „Аргонавтъ“, „Нива“, „Живоп. Обозр.“, „Биржев. Вѣдом.“, „Журналъ для Всѣхъ“ და „Самообразованіе“.

დასასრულ სწერს ბ-ნი ს—შვილი, რომ „ბიბლიოთეკის გამგეობას ჰქონდა 700-დე წიგნი და დაჰკარგაო“. ამაზე მოგახსენებთ, რომ ეხლა არამც თუ 700 წიგნი, არამედ 800 მეტი აქვს. ბიბლიოთეკას განა დაკარგულათ უნდა ჩაეთვალოს ის წიგნები, რომლებიც წევრებს აქვთ წაღებული და ან რომელიც კომისიამ გააუქმა?

თელავის ბიბლიოთეკის გამგე
მელქო აჯიმამუდოვი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

22 მარტი.

პეტერბურგი. ,,კანონთა კრებულში'' 22 მარტის თარიღით მოთავსებულია ახალი წესდება სასულიერო უწყების დედათა სასწავლებლებისა.

ტამბოვი. გუბერნიის ზოგიერთ ადგილებში მძვინვარებს მუცლა და შავი სახადი, მაგრამ ამის მიზეზი შიმშილობა არაა. მოკვდა ორი ექიმი, ავადაა ორი მოწყალებისა და და ფერშალი

სარატოვი. ერობათა დამზღვევ აგენტების თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ დროებით გადიდდეს ახალი კანონი დასაზღვევ გადასახადისა და მასში ცვლილების მოხდენისა.—მოწვეულია საჩქაროდ საგუბერნიო კრება.

ლიბავა. მოსკოვის სამეურნეო საზოგადოებისათვის ინგლისიდგან გამოგზავნილი ჯოგი საუცხოვო ჯიშის საქონლისა აქ მოვიდა დღეს გემით.

ვარშავა. ჰენრიხ სენკევიჩის პატივსაცემად გამართულ დღესასწაულის კომიტეტმა დაბეჭდა ანგარიში. იუბილიარის სასარგებლოდ შეუკრებიათ 107,000 მანეთი.—პრუსიის მთავრობა იმ ადგილობრივ მკვიდრთ, რომელნიც ამერიკაში მიემგზავრებიან, ნებას აძლევს გერმანიაზედ გავლისას, თუ რომ წარადგენენ პასპორტებსა და არა ნაკლებ 400 მარკისა.

ხარკოვი. რუსეთში პირველ სიცოცხლის ურთიერთ დამზღვევ საზოგადოების წესდება დამტკიცდა.

ყაზანი. საზოგადო ჯანმრთელობის კომიტეტის სხდომაზე განიხილეს ღონისძიებანი სურავანდის წინააღმდეგ. ამ გადამდებ სენის გავრცელების მიზეზათ სთვლიან ბოსტნეულობის მოუსავლობის გამო ხალხის ცუდად საზრდოობას. დაადგინეს ურჩიონ გუბერნიის ერობის გამგეობას, რომ ხელი შეუწყოს სამაზრო ერობათ პატარა ქსენონების დაარსებაში.

უსკიუბი. ახალს ბაზარში თავი მოიყარეს შეიარაღებულმა არნაუტებმა და განაცხადეს უკმაყოფილება ბურგმისტრის ჰაკი-ბეის გადაყვანის გამო.

ლონდონი. ,,დეილი ხრონიკლი'' გვატყობინებს, რომ მილნერმა სამი მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოითხოვა სამხრეთ აფრიკაში რკინის გზების გასაყვანადო.

კრონშტადტი. დელარეი და კემპი მარტის 20 შტეინთან იყვნენ.

ვენა. ,,ნეუე-ფრეიე-პრეს''-ის სიტყვით, ნოვო ბაზარის სანჯაყში შეტაკება მოუხდათ არნაუტებს სერბიელების ბრბოსთან კლეშინთან.

სოფია. სანახევროდ ოფიციალური გაზეთი ,,ბოლგარია'' იუწყება: მმართველობა მკაცრს წინააღმდეგობას გაუწევს მაკედონელების უკანონო მოქმედებას, მაგრამ არც ერთს მმართველობას ბოლგარიისას არ შეუძლიან საზღვარი შეჰკრას იმ მაკედონელთათვის, რომელთაც თავშესაფარი ეჭირვებათო''.

ბერლინი. ეხლა-ხან დასრულებული ხელის მოწერა რუსეთის სესხზედ ასჯერ აღემატა სესხისათვის გამოცემულ ობლიგაციებს. ეს მოვლენა მით უფრო შესანიშნავია, რომ ოპერაცია ხდებოდა იმ დროს, როდესაც ბირჟის მდგომარეობა გაცხოველებული ვერ იყო და, რაც უფრო საყურადღებოა, ამ ოპერაციებს ცუდი გავლენა არა ჰქონდა რუსეთის სხვა ფასიან ქაღალდების კურსებზედ. უკანასკნელი ოპერაციის ასეთი თვალსაჩინო წარმატება დამამტკიცებელია იმისა, თუ რამდენად მკვიდრია რუსეთის ფონდები და რამდენად სანდოა რუსეთის დღევანდელი საფინანსო მმართველობა.

ლონდონი. კიტჩენერისაგან გამოგზავნილი ტელეგრამა გვატყობინებს, რომ გენერალ ჰალტერ-კიტჩენერმა მარტის თვრამეტს მდ. გარტისკენ გაგზავნა სათარეშო გუნდი, რომელიც წააწყდა მტრის ზარბაზნების კვალს და გამოუდგა ბურებს. მაგრამ როცა გუნდი გაიშალა ტრიალს ველზე, ბურებს მოუვიდათ მაშველნი, იერიში მიიტანეს ინგლისელების ფრთებზე (ფლანგებზე). ინგლისელთა გუნდმა სანგლები შემოირტყა. გაიმართა მედგარი ბრძოლა. ბურები უკან დასწიეს მთელის რაზმთა წყობის დაყოლება. დელარეი და კემპი ამაოდ ცდილობდნენ დაეჯერებიანათ 1500 ბური ხელ-ახლავ მიეტანათ იერიში ინგლისელებზე. ბურებს დიდი მარცხი მოუვიდათ, აგრეთვე ინგლისელებსაც. ერთი ნაწილი ინგლისელთა მანამდის იგერებდა მტერს, სანამ ყველა მათგანი ან არ მოჰკლეს, ან არ დასჭრეს.

პარიჟი. გაზეთის ,,ავრორის' სიტყვით, ვალდეკ-რუსსოს განზრახვა აქვს მთელის კაბინეტით სამსახურს თავი დაანებოს არჩევანთა წინად და არა შემდეგ. მას ჰსურს ამითი სრული ნეიტრალობა დაიცვას არჩევნების დროს.

კონსტანტინოპოლი. სმირნიდგან მოვიდა ამბავი, რომ იქ შეჰყარეს ექვსი ბატალიონი რედიფებისა. ორს მათგანს სალონიკში ჰგზავნიან.

23 მარტი.

რიგა. შემსხვდთა სასარგებლოდ აქ შეჰკრიბეს სულ 2556 მანეთი.

პარიჟი. ელჩმა თ—დმა ურუსოვმა გენერალს პუზირევსკის პატივსაცემლად გამართა სადილი სამხედროთათვის. სადილზე იყვნენ უმაღლესი სამხედრო წოდების კაცნი და საელჩოს მოსამსახურენი. გენერალი პუზირევსკი დღეს წავიდა ვარშავაში.

ოდესსა. ოდონტოლოგთა კრებაზე, რომელიც ოდესაში უნდა შესდგეს წრეულს, ამოირჩიეს რუსეთის წარმომადგენლებს საერთა-შორისო ფედერაციისათვის. ამ ფედერაციას აარსებენ სხვა-და-სხვა სახელმწიფოების სპეციალისტთა ერთობისათვის. იგი იზრუნებს კბილის ექიმობის საქმის მოწყობას სასწავლებლებში, ჯარებში და ღარიბებისათვის.

ბერლინი. საქსონიის მმართებლობამ გამოსცა ბრძანება, რომ უცხოელნი, მეტადრე გერმანელები ამიერიდგან მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღონ ფრეიბურგის სამადნო აკადემიაში თუ მათ დასრულებული ექნებათ ტეხნოლოგიური ინსტიტუტი, რადგანაც ჩვეულებრივი განათლება ვითომც საკმარისი არ არის.

ალჟირი. გუბერნატორმა გამართა საუზმე რუსეთისა და საფრანგეთის ესკადრების პატივსაცემლად. საუზმემ მხიარულად ჩაიარა. დალიეს სადღეგრძელოები ორთავე სახელმწიფოების მმართველებისა, ლუბეს მომავალ მოგზაურობის ბედნიერობისა, და ორთავე ხალხის ერთობისა, რომელიც თან-და-თან უფრო-და-უფრო მტკიცდება. შესრულებულ იქმნა საერთო ჰიმნები.

გროზნო. ახვერდოვს დაეწვა სამი კოშკი. ცეცხლი ჩააქრეს. იქვე მეათე დღეა რაც სცემს ნავთის შადრევანი, რომელიც დღე და ღამეში 200.000 ფუთს ნავთს.

პეტერბურგი. დანიშნულ იქმნა რექტორი ქუთაისის სასულიერო სემინარიისა არქიმანდრიტი ბენიამინე გორის ეპისკოპოსად, რექტორი ალექსანდრეს სამისსიონერო სემინარიისა არქიმანდრიტი დიმიტრი—ალავერდის ეპისკოპოსად. ,,სავაჭრო და სამრეწველო გაზეთი'' იტყობინება, რომ პეტერბურგში ამ დღეებში მოხდება თათბირი, რომელზედაც განიხილვენ პირველ იურიდიულ სარკინისგზებო კრების მოწყობის საქმეს.

პეტერბურგის ბირჟა, 20 მარტი.

ვექსილის კურსი 9 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,65
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$
4% სახელმწიფო რენტა	$96^5/_8$ გაყიდ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	464 წვრ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	351 —
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	303 გაყიდ.
$4^1/_2$% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	
აქციები ,,	
,, კასპიის ამხანაგობისა.	5025 გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	462 წვრ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	227 „

განცხადება

წერაკითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	15 კ.
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	15 ,,
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	5 ,,
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	30 ,,
აბო ტფილელი, ე. კ.	30 ,,
Або Тифлисскій, Е. К.	5 ,,
ამბავი მაღლის ქვისა	5 ,,
აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	15 ,,
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. 50 ,,
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	40 ,,
ბენია	10 ,,
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა	15 ,,
ბაში-აჩუკი, აკაკისა	30 ,,
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა 1 მ.	30 ,,
გლეხი-კაცის ისტორია, III - IV ტ. 1 მ.	20 ,,
გამზრდელი, აკაკისა	5 ,,
გასართობი	10 ,,
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	15 ,,
გუსტავ ვაზა	5 ,,
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	60 ,,
გიორგი და მიხეილი	10 ,,
Древный Анчисхатскій соборъ.	
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა	,, 30
ჩანგი, ვ. აბაშიძისა	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.	
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა	1 ,,
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	,, 50
Карбеловъ	,, 20
დედა, ანდერსენისა	8 ,,
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 მ. ,,
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	20 ,,
Двѣ святины въ Кахетіи, Е. К.	10 ,,
Давидъ Гареджели, Е. К.	15 ,,
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა	15 ,,
ელენე, მოთხრობა	5 ,,
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	40 ,,
Назрѣвшій вопросъ, Е. К.	20 ,,
ოცი წლის წინად, გ. წერეთლისა	5 ,,
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ	3 ,,
პატარა ლორდის თავგადასავალი	30 ,,
პატრა ვეფხვის ტყაოსანი.	25 ,,
რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა	40 ,,
სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა	1 ,,
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა.	60 ,,
აერო დღესასწაული	25 ,,
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р. ,,
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა	3 ,,
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К	30 ,,
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა	40 ,,
თამარ-დედოფლის სამკაული	10 ,,
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა	50 ,,
ისტორია ქართულ სტამბებისა	15 ,,
იანიჩარიდ., ნახუცრიშვილისა	40 ,,
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II არ. ქუთათელაძისა	60 ,,

ამხ. „ვერეიჩევი და კამენმახერი“,

ღირს-ქმნილი თვისის სტამბის საქმეთათვის ბათუმში 1901 წლის კავკასიის საიუბილეო გამოფენის **მედალისა**

და გაზეთ „Тифл. Лист.“-ის ფრიად სასიამოვნო მოწონებისა (№ 277, 1901 წ.) აუწყებს ყველას, რომ მიხეილისა და ნემცების ქუჩის კუთხეში, სლივიცკის სახლში გაჰმართა

სტამბა და სახაზავი,

რომელნიც მოწყობილია ტეხნიკის ყოველ მოთხოვნილებისა თანხმად და ამიტომ შეეძლება ყოველ-გვარი სასტამბო და სახაზავი სამუშაო შეასრულოს ყოველ ევროპიულსა და აქაურს ენაზედ

☛ **კოხტად, სწრაფად და იაფად** ☚

23 მარტიდგან სტამბის კანტორა ღიაა ყოველ-დღე. მანქანების დადგმა-კი განზრახულია აპრილის დამდეგის არა უგვიანეს. რათა ბ-ნნი მუშტარნი, რომელნიც სტამბაზედ შორსა სცხოვრობენ, არ შესწუხდნენ სტამბაში მოსვლით, ,,ვერეიჩევისა და კამენმახერის'' ამხანაგობას მრავლად ჰყავს მოსამსახურე ხალხი, რომელნიც სურვილისამებრ ეახლებიან და მიიღებენ მუშტართაგან საქმეებს. ტელეფონი № 852. (25—309—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ 23 мар. 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.